# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ოთხშაბათი, 6 სექტემბერი. 2023 წ. №101 (9633) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ფლიდობით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

თავსლაფდასხმული ქართველობა!

# ესპანეთში ქართული მაფიის შვიდი დაჯგუფება გაანადგურეს!!!



**ესპანეთის ქალაქ სევილიაში ქართული მაფიის შვიდი დაჯგუფება გაანადგურეს და მისი 22 წევრი დააკავეს. დაკავებულთა შორის მაფიის ორი ლიდერი, ე.წ. „კანონიერი ქურდია“,** – ინფორმაციას diariodesevilla.es ავრცელებს.

პოლიციამ რამდენიმე სპეცოპერაცია ჩაატარა, ბოროტმოქმედთა უმეტესობა ბინების ქურდობით იყო დაკავებული. მაფიოზური დაჯგუფების წევრთა ნაწილი მიმალვაში იმყოფება, ასე რომ პოლიცია კიდევ რამდენიმე პირის დაკავებას არ გამორიცხავს. ესპანელი სამართალდამცველების ინფორმაციით, დაჯგუფების წევრები მთელი ესპანეთის ტერიტორიაზე მოქმედებდნენ, მაგრამ ძირითადად სევილიაზე იყვნენ ფოკუსირებულები. ჩხრეკის დროს დაკავებულთა სახლებში დიდი რაოდენობით მოპარული ოქროულობა, ფული და სხვა ნივთები იყო აღმოჩენილი.

ქართველების გარდა, დაჯგუფებაში სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც შედიან, მაგ. ლიეტუველები. **„ეს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი დანაშაულებრივი დაჯგუფებაა მთელ ევროპაში, მასში პროფესიონალი ქურდები შედიან, რომლებმაც სახლების კარების გახსნა საკმაოდ მარტივად შეუძლიათ“,** – ამბობენ სევილიის პოლიციაში.

მაფიოზურ დაჯგუფებას კარგი ინფრასტრუქტურა გააჩნია, რის დახმარებითაც ის დანაშაულებრივი ქმედებებით არის დაკავებული. ესენია ყალბი საბუთები, სამალავები, სპეციალური ინსტრუმენტები, ბინები და ე.წ. „ობშაკი“. როგორც წესი, ქურდობა ღამის საათებში ხდება და მხოლოდ იმ სახლებში, სადაც პატრონი იმ მომენტში არ იმყოფება. ანუ დაჯგუფების წევრების წესია, რომ ქურდობის დროს ძალადობრივი ქმედება არ მოხდეს.

ქურდობამდე ბოროტმოქმედები სახლების შესასვლელებზე სპეციალურ ნიშნებს ამაგრებენ – ეს შეიძლება იყოს სილიკონი, პლასტიკური ნაჭერი, პატარა ფურცელი. თუ რამდენიმე დღის შემდეგ ნიშანი ადგილზეა, ესე იგი სახლის კარი არ იღება, იქ არავინ იმყოფება და კრიმინალები სახლში გასაქურდად შედიან. კარის გახსნა საკმაოდ „სუფთად“ ხდება, ასე რომ ქურდობის კვალის აღმოჩენა შეიძლება დღეების ან თვეები შემდეგ მოხდეს. ამ დროს კი ქურდები უკვე ქალაქიდან გასულები არიან. პოლიცია მოუწოდებს მოსახლეობას, რომ ბინებში დაცვის დამატებითი საშუალებები დააყენონ და თუ რაიმე საეჭვო შეამჩნიეს, რაიმე კვალი კარებზე, ან უცხო პირები შენიშნეს ბინის მახლობლად, აუცილებლად პოლიციას შეატყობინონ. გარდა, ამისა, უმჯობესია უსაფრთხოების ვიდეოკამერების დამონტაჟება.

## იმპიჩმენტის პროცედურის დაწყების მთავარი მიზანია, საკონსტიტუციო სასამართლომ პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის უხეში დარღვევის ფაქტი დაადასტუროს!

**პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის განცხადებით, იმპიჩმენტის პროცედურის დაწყების მთავარი მიზანია, საკონსტიტუციო სასამართლომ პრეზიდენტის მხრიდან კონსტიტუციის უხეში დარღვევა დაადასტუროს.**

მისივე თქმით, **ასევე „გაშიშვლდება სალომე ზურაბიშვილისა და რადიკალური ოპოზიციის ალიანსი და კიდევ ერთხელ დაადასტურებს რადიკალური ოპოზიცია, რომ კონსტიტუციაზე მოძალადე პოლიტიკური ძალაა“.**

ომარ მარგველაშვილი:

## ქართველების ერთად ყოფნა დამილოცე, ღმერთო!



იხ. 3 გვ.

## უკრაინაში კორუფციული სკანდალი დასავლეთს აღიზიანებს

**„ეს მნიშვნელოვანი მიზეზია. ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან ქვეყნები, რომლებიც დახმარებას უწევენ უკრაინას, დემოკრატიული ქვეყნები არიან, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ უნდა გაითვალისწინონ თავიანთი საზოგადოების, ამომრჩევლის აზრი. წარმოიდგინეთ, ამომრჩევლები ხედავენ, რომ ძალიან თვალსაჩინო კორუფციული სკანდალები ხდება იმ ქვეყანაში, რომელსაც ეხმარებიან. ეს არის დიდი დარტყმა ამ სახელმწიფოს რეპუტაციისთვის“,** – ამბობს გიტანას ნაუსედა, ლიეტუვის პრეზიდენტი.

**ეს განცხადება ლიეტუვის პრეზიდენტმა მას შემდეგ გააკეთა, რაც ცნობილი გახდა, რომ ვოლოდიმირ ზელენსკიმ თავდაცვის მინისტრის, ალექსეი რეზნიკოვის გადაყენების შესახებ გააკეთა განცხადება. ზელენსკის მინისტრის შეცვლის ოფიციალურ ვერსიად კორუფცია არ დაუსახელებია, თუმცა საერთაშორისო მედიაში ეს მოსაზრება აქტიურად ვრცელდება.**



## ვინც დაადგება ბოკერიას გზას, განულდება და დაამთავრებს, როგორც ბოკერია!



**მინდა, მივმართო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს, ჩვენს გმირულ აქტივს!**

**ჩემო ძვირფასებო, ძალიან მომენატრა თქვენთან პირადი კონტაქტი, მაგრამ მინდა, იცოდეთ, რომ მე ზღვა გადმოლახული მაქვს, თქვენ შორის ვიმყოფები და თქვენთან ერთად ვიბრძვი საქართველოს გადასარჩენად. ამისთვის გავუძელი ყველაფერს აქამდე.**

**ამ გზაზე ჩვენ ყველა პატრიოტთან უნდა გავაერთიანოთ სათითაოდ ჩვენი ძალები, მაგრამ იმისთვის, რომ სხვებთან გვქონდეს მისასვლელი პირი, თვითონ პარტიამ უნდა შეინარჩუნოს ერთიანობა და სიმტკიცე. ამავე დროს, მივესალმები დებატებსაც და მუდმივ შიდა განახლებასაც. ამ ყველაფერს არაფერი აქვს საერთო ბოკერიას გზასთან. ვინც დაადგება ბოკერიას გზას, განულდება და დაამთავრებს, როგორც ბოკერია.**

**სამიზნე უნდა გავასწოროთ ყველამ, ჩვენი მთავარი და ამ ეტაპზე ერთადერთი სამიზნე რუსული რეჟიმია!**

მიხეილ სააკაშვილი.

**...მგონია, ეს გამორიცხულია. თქვენ წარმოიდგინეთ, უახლოესი 7-8 თვის განმავლობაში სალომე ზურაბიშვილმა სააკაშვილი თუ შეიწყალა, ეს ნიშნავს, რომ მან საკუთარ სკამზე გაცვალა სახელმწიფო ინტერესები. სალომე ზურაბიშვილი თუ ამას გააკეთებს, საერთოდ საოცრება იქნება!**

ირაკლი კობახიძე

პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე

## სალომე ზურაბიშვილმა სააკაშვილი თუ შეიწყალა, ეს იქნება... საოცრება!

# სწორი პოლიტიკის შედეგი

## ირაკლი ღარიბაშვილი: შეურაცხმყოფელია ჩვენი ხალხისთვის ასეთი ვაჭრობა და შანტაჟი

**მას შემდეგ, რაც მოისმინეს პრეზიდენტ ზურაბიშვილის განცხადება, რომ ქვეყანა თურმე არ იმსახურებდა სტატუსს, თუ გახსენდებათ ვინმეს შეშფოთება, კრიტიკა ან რაიმე პროტესტი. ფარისევლობაა, დამამცირებელი და შეურაცხმყოფელია ჩვენი ხალხისთვის ასეთი დამოკიდებულება, ვაჭრობა და შანტაჟი, ვასრულებთ თუ არ ვასრულებთ ვალდებულებებს,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომელმაც საზოგადოებას მიმართა.

ღარიბაშვილის თქმით, რთულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში სწორი, გონივრული პოლიტიკით საქართველომ მოახერხა მეორე ფრონტის თავიდან არიდება.

* * *

**სამწუხაროდ, არ გაითვალისწინა მთავრობის მიერ გაგზავნილი უარი და მან დემონსტრაციულად დაარღვია კონსტიტუცია. მოგეხსენებათ, კონსტიტუცია განმარტავს, რომ საგარეო პოლიტიკას ახორციელებს საქართველოს მთავრობა. თუ პრეზიდენტს მიანიჭებს მთავრობა, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლია მას, ეს უფლებამოსილება შეასრულოს.**

**დაახლოებით ერთი თვის წინ გავუგზავნე ოფიციალური უარი ამ ვიზიტებზე და აქვე მინდა, ჩვენი არგუმენტაცია მოვიყვანო. მან რამდენიმე თვის წინ თქვა, რომ საქართველოს ხელისუფლება არ ასრულებს ვალდებულებას, რომელიც არის დაწესებული და ასევე თქვა ყველაზე მეტად შემაშფოთებელი, რომ საქართველო არ იმსახურებდა შარშან კანდიდატის სტატუსს. ამის შემდეგ, ბუნებრივია, ჩვენ სხვა მტკიცებულება არ გვჭირდება, რომ, უბრალოდ, სანდოობა დაიკარგოს.**

**ჩვენ არ გვქონდა არავითარი მოტივაცია, გაუმართლებელი იქნებოდა ჩემი მხრიდან მისთვის რაღაც გარკვეული უფლებამოსილების დელეგირება. სამწუხაროა, რომ საქართველოს პრეზიდენტი არღვევს კანონს დემონსტრაციულად. ამ დროს ჩვენ უნდა ვიყოთ მაგალითის მიმცემები. ამიტომ ის გადაწყვეტილება, რომელიც მიიღო მმართველმა პარტიამ, იყო გამართლებული“...**



## მაღალი ეკონომიკური ზრდის გამო მოგვიწევს ბიუჯეტის კორექტირება!

**მაღალი ეკონომიკური ზრდის გამო მოგვიწევს ბიუჯეტის კორექტირება, გვექნება საინტერესო ინიციატივები და ახალი პროექტები იქნება დაგეგმილი,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, დაგეგმილია ისეთი მსხვილი პროექტების დაწყება, როგორებიცაა ანაკლიის პორტის პროექტი, ახალი აეროპორტის პროექტირება და ჰესების მშენებლობა.

**„მეტი შემოსავლები დაუგროვდა ქვეყანას. ამის თაობაზე მოგვიანებით პარლამენტს მივმართავთ კორექტირებული ბიუჯეტის პროექტით. ასევე, ჩვენ უკვე დავიწყეთ მუშაობა ახალ, 2024 წლის ბიუჯეტზე. გვექნება საინტერესო ინიციატივები, ახალი პროექტები...**

**მსხვილი პროექტების დაწყებაა დაგეგმილი, როგორებიცაა ანაკლიის პორტის პროექტი, ასევე ახალი აეროპორტის პროექტირება და გვინდა, მშენებლობა დავიწყოთ. გვინდა, დიდი პროექტების, ჰესების მშენებლობა ჩვენი თანამონაწილეობით დავიწყოთ, როგორიც არის ხუდონი, ასევე ნამახვანზე მიდის მუშაობა, ნენსკრაზე ჩვენ გავედით ბოლოში, მემორანდუმი გაფორმებულია, ველოდებით, რომ წლის ბოლოს, მაქსიმუმ, 2024-ში განახლდება სამუშაოები ადგილზე. ასე რომ, ეს არის ჩვენი გეგმა. ამას სჭირდება შენარჩუნება მშვიდობის, სტაბილურობის, რასაც მოაქვს მეტი კეთილდღეობა“...**

## ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი შარშან 4,5 მილიარდი დოლარი იყო, წელს მეტს ველოდებით!

**ტურიზმი აქტიურად ვითარდება. ჩვენ შარშან გვქონდა 4,5 მილიარდი დოლარის შემოსავლები. წელს კიდევ უფრო მეტს ველოდებით. ასევე, მინდა, ვთქვა, რომ აეროპორტებში გაზრდილია და, უნდა ითქვას, რომ ისტორიულ მაქსიმუმზეა მიახლოებული მგზავრთა ნაკადი, ქუთაისის აეროპორტში, მაგალითად. რეისების რაოდენობა გაზრდილია, ყველა მიმართულებით ათეული რეისია დამატებული.**

**ქუთაისის აეროპორტში ჩვენ გვქონდა ამის თაობაზე განხილვა და მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ უნდა მოხდეს დაგრძელება, ახალი ასაფრენ-დასაფრენი ბილიკის დაპროექტება და მშენებლობა. უნდა მოხდეს 3 500 მეტრამდე, ანუ 3,5 კილომეტრი იქნება ახალი ასაფრენ-დასაფრენი ზოლი. კიდევ უფრო კარგად მოეწყობა ინფრასტრუქტურა. ეს აუცილებლად გასაკეთებელია. ქუთაისში ალბათ მალე იქნება მილიონი მგზავრი.**

**ამიტომ ქუთაისს შესაბამისი ყურადღების მიქცევა სჭირდება. ამ პროექტირებას ახლა დავიწყებთ და 18 თვეში იქნება უკვე გაკეთებული, დასრულებული ახალი ასაფრენ-დასაფრენი ზოლი და შესაბამისი ინფრასტრუქტურაც...**

## არცერთი კილოგრამი ყურძენი არ დარჩება ჩაუბარებელი!

**მინდა, მკაფიოდ განვაცხადო და დავამშვიდო მოქალაქეები, რომ არცერთი კილოგრამი ყურძენი არ დარჩება ჩაუბარებელი,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

**„ჩვენ რამდენიმე კვირის წინ შევიკრიბეთ და განვაცხადეთ, რომ სუბსიდიას შევინარჩუნებდით და ვთქვით, რომ დაზიანებულ ყურძენს სახელმწიფო ჩაიბარებდა 90 თეთრად. რამდენიმე დღის წინ კახეთში საკმაოდ ძლიერი სეტყვა მოვიდა, დაისეტყვა ვენახები, ხალხს გამზადებული ჰქონდა ყურძენი ჩასაბარებლად და, სამწუხაროდ, სეტყვა მოვიდა. ამის მიუხედავად, მინდა, მკაფიოდ განვაცხადო და დავამშვიდო ჩვენი ძვირფასი მოქალაქეები, რომ არცერთი კილოგრამი ყურძენი, დაზიანებული იქნება, დასეტყვილი თუ ჩვეულებრივი ყურძენი, არ დარჩება ჩაუბარებელი. სახელმწიფო ჩაიბარებს 90 თეთრად, მათ შორის დასეტყვილ ყურძენს“.**

## ქვეყანაში უმუშევრობისა და სიღარიბის დონე ისტორიულ მინიმუმზეა!

ბიზნესი მოგვყვება, მეტი თავდაჯერებულობა, პროგნოზირებადობა, განჭვრეტადობა არის ქვეყანაში და ეს ყველაფერი უნდა შევინარჩუნოთ...

**„ძალიან მაღალი აქტივობაა ზოგადად ბიზნესსექტორში. მაგალითისთვის გეტყვით, რომ მეორე კვარტალში ბიზნესსექტორის ბრუნვა გაიზარდა 15 პროცენტით, შეადგინა 48 მილიარდი ლარი და ორივე კვარტალში ჯამურად 92 მილიარდ ლარს გადასცდა მთელი ბიზნესსექტორის ბრუნვა, რაც ძალიან მისასალმებელია. ჩანს, რომ ბიზნესი მოგვყვება, უფრო მეტი თავდაჯერებულობა, პროგნოზირებადობა, განჭვრეტადობა არის ქვეყანაში და ეს ყველაფერი უნდა შევინარჩუნოთ, მაღალი ტემპებით უნდა გავაგრძელოთ ზრდა“,** – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, წლის მეორე კვარტალში ბიზნესსექტორში სამუშაო ადგილების რაოდენობა გაიზარდა 42 ათასით და შეადგინა 737 ათასი, რაც მისასალმებელია.

**„უმუშევრობის დონე არის ისტორიულ მინიმუმზე. სიღარიბის დონეც არის ისტორიულ მინიმუმზე ჩამოსული და ქვეყნის რეზერვები არის ისტორიულ მაქსიმუმზე. 5,5 მილიარდი დოლარი არის ქვეყნის რეზერვები. ეს ნიშნავს, რომ ქვეყანა ძლიერდება, ვითარდება, მდიდრდება და ამას სჭირდება შენარჩუნება“.**

მთავრობის მეთაურის თქმით, ეს შემთხვევით არ მომხდარა.

**„ეს არის ჩვენი სწორი პოლიტიკის შედეგი. ამ ყველაფერს სჭირდება შენარჩუნება და გაძლიერება. ამ პერიოდს სჭირდება შენარჩუნება და გაძლიერება“,** – დასძინა პრემიერ-მინისტრმა.

## კახა კალაძე: როდესაც პრეზიდენტი არღვევს კონსტიტუციას, ამ ქვეყანაში მცხოვრებ რიგით ადამიანებს რა უნდა მოვთხოვოთ?!



**პოლიტიკოსებმა, თანამდებობის პირებმა პატივი უნდა ვცეთ საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებს, საკუთარ ქვეყანას, კონსტიტუციას და კანონმდებლობას,** – ამის შესახებ დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ განაცხადა.

**„როდესაც პარტიის თავმჯდომარემ გააკეთა განცხადება, მან თავიდანვე აღნიშნა, რომ იმპიჩმენტი ვერ განხორციელდება გარკვეული მიზეზების გამო. ვიცით, რა არის ეს მიზეზები. პირველი, ჩვენ პოლიტიკოსებმა, თანამდებობის პირებმა პატივი უნდა ვცეთ საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებს, საკუთარ ქვეყანას, კონსტიტუციას და კანონმდებლობას. თუ ჩვენ დავარღვევთ კანონსა და კონსტიტუციას, ამ ქვეყანაში მცხოვრებ ადამიანებს – და თუნდაც უცხო ქვეყნის მოქალაქეებს – რა უნდა მოვთხოვოთ?**

კითხვაზე, როგორი პრეზიდენტია სალომე ზურაბიშვილი, კახა კალაძემ აღნიშნა: **ქვეყნის მოსახლეობამ უნდა შეაფასოს, ვინ როგორ მუშაობს. ჩემი მხრიდან გაკეთებული შეფასება არ იქნება სწორი. შეიძლება, ობიექტური არ ვიყო, ამიტომ სჯობს, ეს შეაფასოს მოსახლეობამ“.**

* * *

**კონსტიტუციაში გაწერილია, რომელი თანამდებობის პირი როგორ მოქმედებს. შავით თეთრზე წერია, რომ როდესაც პრეზიდენტი მიემგზავრება უცხოეთში, მან უნდა მიიღოს ნებართვა ხელისუფლებისგან. თუ ჩვენ ამ ყველაფერს დავარღვევთ, ქვეყანაში იქნება ქაოსი.**

კახა კალაძეს კითხვა დაუსვეს, როგორ ფიქრობს, პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებით წაგებულ ომში ხომ არ შევიდა ხელისუფლება?

**„რა შუაშია წაგება-მოგება? საუბარია ქვეყნის კონსტიტუციისა და კანონის პატივისცემაზე. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შენი ქვეყნის მოსახლეობის პატივისცემაზეა საუბარი. ერთი ქვეყანა დამისახელეთ, სადაც პრეზიდენტი, რომელიც პირველი უნდა იცავდეს კონსტიტუციას, თავად არღვევდეს კონსტიტუციას. კონსტიტუციაში გაწერილია, რომელი თანამდებობის პირი როგორ მოქმედებს. შავით თეთრზე წერია, რომ პრეზიდენტი უცხოეთში როდესაც მიემგზავრება, მან უნდა მიიღოს ნებართვა ხელისუფლებისგან. თუ ჩვენ ამ ყველაფერს დავარღვევთ, ქვეყანაში იქნება ქაოსი. ეს დამოკიდებულებები წარმოუდგენელია. ასევე, უნდა გავიხსენოთ პრეზიდენტის განცხადებები, რაც ძალიან მძიმე იყო. პირდაპირ საუბრობდა, რომ საქართველო არ იმსახურებდა სტატუსს. ასეთი ადამიანი როცა უცხოეთში მიდის, ჩნდება ეჭვი, რომ ქვეყნის წინააღმდეგ იმოქმედებს“,** – განაცხადა კახა კალაძემ.

## ძალადობა კატეგორიულად მიუღებელია!

თბილისის მერი კახა კალაძე ჩოხატაურში გუშინ მომხდარ ფიზიკურ დაპირისპირებასთან დაკავშირებით აცხადებს, რომ ძალადობა კატეგორიულად მიუღებელია, ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს.

**„ყველა უნდა გავერთიანდეთ და ერთად დავგმოთ ძალადობის ფაქტები. ძალადობა მხოლოდ ფიზიკური არ არის. არსებობს ფსიქოლოგიური, რასაც ყოველდღიურად ვხედავთ, რაც ძალიან ცუდია. რეალურად, ამ პრობლემის მოგვარება თუ გვინდა, ყველა უნდა გავერთიანდეთ ყველანაირი ძალადობის წინააღმდეგ, პოლიტიკური კუთვნილების მიუხედავად“,** – განაცხადა კახა კალაძემ.

შსს-მ ჩოხატაურში მომხდარ დაპირისპირებასთან დაკავშირებით გამოძიება ჯგუფური ძალადობის მუხლით დაიწყო.

## სამტრედიაში ბურთის ძეგლის დადგმასთან ჩემს ოჯახს და სამტრედიის მერიას კავშირი არ აქვთ!

ჟურნალისტების კითხვაზე, დაიდგა თუ არა აღნიშნული ძეგლი კახა კალაძის მამის, კარლო კალაძის პატივსაცემად, თბილისის მერი პასუხობს, რომ ბურთის ფორმის ძეგლი ფეხბურთის მოყვარულთა კერძო ინიციატივით დაიდგა და მის ოჯახს ამ ინიციატივასთან არანაირი შეხება არ აქვს.

**„ვის გჯერათ, რომ მამაჩემის პატივსაცემად დადგეს ძეგლი? ეს არის კეთილი ადამიანების მიერ გადადგმული ნაბიჯი, სამტრედიაში მცხოვრები იმ ადამიანების, ვისაც უყვართ ფეხბურთი. ეს მათი გადაწყვეტილებაა. ჩემი ოჯახი, მამაჩემი და სამტრედიის მერია აღნიშნულ ფაქტთან კავშირში არ არიან“...**

# ქართველების ერთად ყოფნა დამილოცე, ღმერთო!

**ასეთ დროს სალომე ზურაბიშვილის ზედმეტი აქტიურობა და „ქართული ოცნების“ კიდევ ერთხელ „ჩაშვება“ ევროპელების წინაშე, ნამეტნავად არადიპლომატიურად, ანუ, თვით სალომეს სიტყვებით რომ ვთქვათ, ქაჯობად გამოიყურება!**

**ჩემი ხანგრძლივი და ტკბილ-მწარე მოვლენებით დატვირთულ წუთისოფელში ასე შეძრწუნებული და აღელვებული იშვიათად ვყოფილვარ.**

**რა მოგდით, პრეზიდენტო!**

**რა გემართება, პარლამენტო!**

**რატომ მიიყვანეთ აქამდე საქმე, „ოცნების“ აღმასრულებელო ხელისუფლებავ!!!**

ჩემთვის, როგორც რიგითი მოქალაქისთვის სრულიად მიუღებელია ის ამაზრზენი დავა და ურთიერთშეურაცხმყოფელი კამათი, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტსა და მთავრობას შორის მიმდინარეობს.

ნუთუ არ შეიძლებოდა ეს გათითოკაცების წმინდად ქართული პრობლემა პრეზიდენტს, პარლამენტს და მთავრობას წყნარად, მშვიდად, მიტევების, ურთიერთპატივისცემის, სახელმწიფოს ავტორიტეტის გაფრთხილების უზენაესი მოთხოვნებით გადაგეწვიტათ?!

**შეიძლებოდა, რა თქმა უნდა, შეიძლებოდა!**

...დღეს ადუღებული მსოფლიო ბირთვული ომის პირისპირ დგას. პოლიტიკური, გეოსტრატეგიული ვითარება, რუსეთ-უკრაინის დაუნდობელი ომის სახით, აპოკალიფსისკენ გვიბიძგებს. ეს წარმოუდგენელი რეალობაა და ყველაფერი ჩვენს თვალწინ, ჩვენს გვერდით ხდება.

ამ ურთულეს ჟამს, უკვე გამოცდილი, 5 წლის წინათ არჩეული პრეზიდენტი და ქვეყნის მთავარსარდალი სალომე ზურაბიშვილი „უცილობლობს ვითა ჯორი“ და მთავრობის, პარლამენტის კატეგორიული უარის მიუხედავად, ევროპაში ყოვლისშემძლე მისიონერივით მიდის და სუპერსახელმწიფოების ლიდერებს „კერძო“ ვიზიტით, უზარმაზარ ქართულ სახელმწიფოებრივ პრობლემაზე (კანდიდატის სტატუსის მიღებაზე) სალაპარაკოდ ხვდება!

არადა, ეს პრობლემა საქართველოს დღევანდელმა მთავრობამ, საკანონმდებლო ორგანომ, ქართველმა ხალხმა **(მავნებელი ოპოზიციის გარდა),** თითქმის უკვე გადაწყვიტეს, 12 პუნქტიანი დავალებაც (ერთიორის გარდა), პირნათლად შეასრულეს და ოქტომბრის შუა რიცხვებში ევროსაბჭოს შუალედურ ანგარიშს ელოდებიან...

ასეთ დროს სალომე ზურაბიშვილის ზედმეტი აქტიურობა და „ქართული ოცნების“ კიდევ ერთხელ „ჩაშვება“ ევროპელების წინაშე, ნამეტნავად არადიპლომატიურად, ანუ, თვით სალომეს სიტყვებით რომ ვთქვათ, ქაჯობად გამოიყურება!

ქალბატონო სალომე, განა ასეთი უსაქციელობა და სიჯიუტე წაადგება ჩვენნაირ ახალგაზრდა დემოკრატიას, ეკონომიკურად და სოციალურად ჯერ კიდევ სუსტ სახელმწიფოს?

* * *

**შეგახსენებთ, ქალბატონო სალომე, რომ მე თქვენ ჯერ კიდევ 1985 წელს გაგიცანით, როდესაც ნიუ იორკიდან პირველად ჩამობრძანდით საქართველოში და ქართულად ლაპარაკი მართლა ძალიან გიჭირდათ. მაშინ თბილისში გაეროს ეგიდით, პირველი და უკანასკნელი მასშტაბური კონფერენცია ჩავატარეთ, რომლის ორგანიზატორი იყო საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა ახლადდანიშნული მინისტრი ედუარდ შევარდნაძე... თქვენ ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეთ. საერთაშორისო კონფერენცია უმაღლეს დონეზე ჩატარდა და ამაში, ჩემი აზრით, თქვენი წვლილიც იყო... თქვენ შესანიშნავი მშობლები და ძმა გყავდათ, თქვენი მეუღლე ჯანრი კაშია კი, როგორც არაჩვეულებრივი ლიტერატორი და საერთაშორისო ჟურნალისტი, ყველა წიგნიერი ქართველის მეგობარი იყო...**



ომარ მარგველაშვილი სალომე ზურაბიშვილთან ერთად, 1985 წ.

ნუთუ ასეთმა ღირსეულმა „ფრანგმა“ დიპლომატმა, დღევანდელი ბედკრული და დაქუცმაცებული საქართველოს პრეზიდენტმა საერთო ენა ვერ უნდა გამონახოთ „ქართული ოცნების“ ახალგაზრდა ლიდერებთან?!

ჩვენ ხომ ერთი სამშობლო გვაქვს და მისი გადარჩენა, გამთლიანება და აღორძინება ძვალსა და რბილში უნდა გვქონდეს გამჯდარი!

თქვენ ხომ ერთმა დიდმა მამულიშვილმა, მეცენატმა და ქველმოქმედმა (და არა ოლიგარქმა, როგორც ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებს ჰგონიათ!) ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა გაგაერთიანათ და სამი მთავარი ამოცანა დაგისახათ მიზნად:

**პირველი:** დაუნდობელი აგრესორის და „გონებით განუსჯელ-შეუცნობელი“ რუსეთის (თ. ტიუტჩევის შეფასებაა), არგაღიზიანება და ამით მშვიდობის შენარჩუნება;

**მეორე:** აფხაზებისა და ოსების შემორიგება;

**მესამე:** თანმიმდევრული, შეუნელებელი სვლა ევროპისკენ!

ამ სამივე მიზანს 10 წელიწადია მეტნაკლები წარმატებით ასრულებს „ქართული ოცნება“. თქვენ „ქართული ოცნების“ არჩეულ-დანიშნული პრეზიდენტი ხართ, ქალბატონო სალომე და თქვენს პოლიტიკურ კარიერას იმპიჩმენტით ნუ დაასრულებთ!

* * *

**„დინების წინააღმდეგ მავალი“ სულმნათ ზვიად გამსახურდიას შემზარავმა ბედმა უღვთოდ განწირული პრეზიდენტის მომხრე კალმოსნებს მრავალი დაუვიწყარი სტრიქონი დააწერინა. ერთ-ერთი ასეთი იყო დღესაც ერთობ გახმაურებული ლექსი და სიმღერა „ქართველების ერთად ყოფნა დამილოცე, ღმერთო!“**

**დრო უმოწყალოდ მიდის. ისტორია ჭკუას არ გვასწავლის ქართველებს!**

**არადა, ერთად ყოფნაზე უკეთესი რა უნდა ვინატროთ?!**

**ომარ მარგველაშვილი,**

**აკადემიკოსი**

## ირაკლი კობახიძე: კონსტიტუციაზე მოძალადე პოლიტიკოსებს ხელისუფლებაში ხალხი აღარასდროს დააბრუნებს



**ოპოზიციის რადიკალური ნაწილი საქართველოს კონსტიტუციის უხეში დარღვევის ევროპულ მოვლენად წარმოჩენას ცდილობს,** – ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა. მისივე თქმით, „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს, კონსტიტუციაზე ძალადობა მისი ხელწერის ერთ-ერთი უმთავრესი შტრიხი იყო და აღნიშნა, რომ ხალხი კონსტიტუციაზე მოძალადე პოლიტიკოსებს ხელისუფლებაში აღარასდროს დააბრუნებს.

**„ოპოზიციის რადიკალური ნაწილი ცდილობს, ნებისმიერი მოვლენა სარკისებურად წარმოაჩინოს. ყველას გახსოვთ, როგორ ატყუებდნენ მოსახლეობას და ამერიკულ კანონს რუსულ კანონს უწოდებდნენ. ახლა ისინი ცდილობენ, საქართველოს კონსტიტუციის უხეში დარღვევა ევროპულ მოვლენად წარმოაჩინონ.**

**ქართული საზოგადოება არის ტრადიციული ევროპული ღირებულებების მატარებელი საზოგადოება და მერწმუნეთ, საქართველოს კონსტიტუციის უხეშ დარღვევას მას ევროპულ მოვლენად ვერაფრით იყიდით. როდესაც „ნაცმოძრაობა“ იყო ხელისუფლებაში, კონსტიტუციაზე ძალადობა მისი ხელწერის ერთ-ერთი უმთავრესი შტრიხი იყო. შესაბამისად, ლოგიკურია, რომ კოლექტიური „ნაცმოძრაობა“ – „ნაცმოძრაობა“, „ლელო“, გახარიები, ჯაფარიძის „გირჩი“ და სხვები დღეს ოპოზიციის რიგებიდან ამ ხელწერით მოქმედებთ. ქართულმა საზოგადოებამ ეს ძალიან კარგად იცის და მერწმუნეთ, კონსტიტუციაზე მოძალადე პოლიტიკოსებს ხელისუფლებაში ხალხი აღარასდროს დაგაბრუნებთ“!**

## მედიას აქვს პასუხისმგებლობა, საზოგადოებაში ტყუილი აღქმები არ ჩამოაყალიბოს!

**ორ კვირაში შინაგან საქმეთა მინისტრთან, ვახტანგ გომელაურთან იქნება შეხვედრა და ყველა კითხვას იქ გაეცემა პასუხი. თუ რაიმე კითხვის დასმის თავი აქვს ოპოზიციას, კეთილი ინებოს და დასვას, საზოგადოება ორ კვირაში ნახავს, რომ, სინამდვილეში, რასაც ლაპარაკობს რადიკალური ოპოზიცია შოვთან დაკავშირებით, არის ცარიელი ტყუილი და სპეკულაცია,** – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ განაცხადა.

მისი თქმით, „რადიკალურმა ოპოზიციამ, თავის მედიასაშუალებებთან ერთად, გაავრცელა ცხრა უხეში ტყუილი შოვის ტრაგედიასთან დაკავშირებით“.

**„სამარცხვინოა, როცა ცდილობ ტრაგედიაზე ქულების დაწერას. კონკრეტული მედიასაშუალებები დღემდე აგრძელებენ. მაგალითად, „პალიტრაზე“ იყო პოსტი გავრცელებული, რაც მაშველების დისკრედიტაციას ასრულებდა. „რადიო თავისუფლება“ ყველაზე აქტიურად მუშაობს იმისთვის, რომ ყალბი ინფორმაცია და დასკვნები ჩამოაყალიბოს შოვთან დაკავშირებით და ა.შ. რაც ძალიან სამწუხაროა. „პალიტრაზე“ გაზიარებული იყო ერთ-ერთი ადამიანის გულწრფელი პოსტი, რომელიც ეხებოდა შოვში დაღუპულ ერთ-ერთ ადამიანს.**

**მას ემოციური პოსტი ჰქონდა იმასთან დაკავშირებით, რომ შეიძლება, ეს ადამიანი მთელი ღამის განმავლობაში იბრძოდა საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად. საბოლოო ჯამში, ეს „პალიტრამ“ სათაურად გამოიტანა და გამოიყენა მაშველების დისკრედიტაციისთვის, იმის საჩვენებლად, თითქოს მაშველებს რომ უფრო სწრაფად ემოქმედათ, ეს ადამიანი გადარჩებოდა.**

**სახელებს და გვარებს არ ვასახელებ, მაგრამ თუ ვინმეს აქვს ინფორმაცია, მაგალითად, ამ კონკრეტული ადამიანის ცხედარი რა მდგომარეობაში იყო ნაპოვნი, ასეთ პოპულაციურ პოსტს არ გაავრცელებდა. მედიას აქვს პასუხისმგებლობა, ტყუილი აღქმები საზოგადოებაში არ ჩამოაყალიბოს, როდესაც რაღაცების გადამოწმება თავადაც შეუძლია“,** – განაცხადა კობახიძემ.

## ჟოზეფ ბორელი საქართველოს 7-8 სექტემბერს ეწვევა



**საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი, ჟოზეფ ბორელი საქართველოს 7-8 სექტემბერს ეწვევა. ინფორმაციას ამის შესახებ ევროკავშირის დიპლომატიური სამსახური ავრცელებს.**

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ჟოზეფ ბორელს ექნება შესაძლებლობა, განიხილოს პროგრესი საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე და ასევე გაცვალოს აზრები საგარეო პოლიტიკასა და რეგიონულ საკითხებზე. ვიზიტის ფარგლებში, ბორელი შეხვდება საქართველოს პრეზიდენტს, სალომე ზურაბიშვილს და საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ირაკლი ღარიბაშვილს.

ის ასევე შეხვდება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, ილია დარჩიაშვილს. ჟოზეფ ბორელი ასევე შეხვდება პარლამენტში მყოფი ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელს და დისკუსიას გამართავს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან.



# თამარ ჩიბურდანიძე: თუ ვინმეს ჰგონია, საქართველო ტერიტორიებს რუსეთთან მოლაპარაკების გარეშე დაიბრუნებს, ის პოლიტიკური ბეცია!

**მსოფლიო პოლიტიკაში მოვლენები ელვის სისწრაფით იცვლება, გამონაკლისი არც გასული კვირა აღმოჩნდა. კანდიდატის სტატუსის მომლოდინე ქვეყანას ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა გვითხრა, 2030 წლამდე წევრობაზე ოცნებაც არ ღირსო, პარალელურად კი, რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დმიტრი მედვედევმა საქართველო მოლაპარაკებების მაგიდასთან მიიწვია... ეკონომიკური ალიანსი „ბრიქსი“ კიდევ უფრო ფართოვდება და რუსეთის, ჩინეთის, ბრაზილიის, ინდოეთისა და სამხრეთ აფრიკის კავშირს, არგენტინა, ირანი, ეგვიპტე, ეთიოპია, საუდის არაბეთი და გაერთიანებული საამიროებიც შეუერთდნენ...**

**„ხალხის ძალის“ წევრთან, პოლიტოლოგ თამარ ჩიბურდანიძესთან ერთად, გასული კვირის მნიშვნელოვან მოვლენებს ვაფასებთ...**

**– გასულ კვირაში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემა ევროპული საბჭოს პრეზიდენტის განცხადება იყო, რომლის მიხედვითაც, ევროკავშირის გაფართოვება 2030 წლამდე არ იგეგმება. მანამ, სანამ შარლ მიშელის განცხადებას დეტალურად მიმოვიხილავდეთ, მინდა გკითხოთ, სხვა უზარმაზარ ეკონომიკურ ალიანსზე – „ბრიქსზე“, რომელიც დღითიდღე ფართოვდება და სერიოზულ მასშტაბებს იღებს... ქალბატონო თამარ, თქვენი აზრით, ხომ არ მოვიდა დრო, ევროკავშირის გარდა, ალტერნატიულ კავშირში გაერთიანების პერსპექტივაც განვიხილოთ, მითუმეტეს, რომ „ბრიქსის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ქვეყანა ჩინეთია, რომელთანაც საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობა აკავშირებს?**

– როცა ბრიტანეთმა ევროკავშირი დატოვა, ინგლისში ვიმყოფებოდი. კარგად მახსოვს მაშინდელი პრემიერ-მინისტრ ბორის ჯონსონის პარლამენტში სიტყვით გამოსვლა, სადაც მან ძალიან საყურადღებო ფრაზა თქვა – ევროკავშირმა თავისი რესურსი ამოწურა, ახლა დროა ახალი კავშირების! ევროკავშირში რეალურად სამი ძლიერი ეკონომიკის ქვეყანა იყო გაერთიანებული – ინგლისი, საფრანგეთი და გერმანია, რომლებიც, ფაქტობრივად, ყველა დანარჩენ ქვეყანას არჩენდნენ. ანუ, ჯერ კიდევ მაშინ, როცა „ბრექსითი“ განხორციელდა, ჩაფიქრებული იყო ახალი ალიანსების შექმნა. რაც შეეხება კონკრეტულად „ბრიქსს“, მისი საერთო მშპ უკვე უსწრებს დიდი შვიდეულის საერთო მშპ-ს და მასში გაწევრებულ სახელმწიფოთა მოსახლეობის ჯამი მსოფლიო მოსახლეობის თითქმის ნახევარს შეადგენს. დაზუსტებით შემიძლია გითხრათ, რომ ევროკავშირის ხუთი თუ ექვსი წევრი ქვეყანაც ემზადება „ბრიქსში“ გასაერთიანებლად, რადგან ევროკავშირის ქვეყნებს აქვთ იმისი თავისუფლება, პარალელურად, სხვა კავშირების წევრებიც იყვნენ. აქედან გამომდინარე, არც საქართველოსთვის იარსებებს არანაირი წინააღმდეგობა, ევროკავშირის წევრობის პარალელურად, სხვა ეკონომიკური ალიანსის წევრიც თუ ვიქნებით. მე, როგორც მეცნიერი და პოლიტოლოგი, და არა როგორც „ხალხის ძალის“ წევრი პოლიტიკოსი, ვფიქრობ, რომ საქართველო ყველა იმ ეკონომიკურ ალიანსში უნდა გაერთიანდეს, რომელიც საქართველოს ძლიერ სახელმწიფოდ აქცევს!

**– ვიღაც გეტყვით, კი მაგრამ, მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი ქვეყანა ხომ რუსეთიაო...**

– მერე რა მოხდა, იყოს რუსეთი! ბოლოს და ბოლოს, მას ულევი ბუნებრივი რესურსები გააჩნია. უკრაინის ომის ფონზეც კი, არც ამერიკას და არც ევროკავშირს, არათუ არ შეუწყვეტიათ რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობები, პირიქით, გაზარდეს. ასე რომ, ვერავინ ვერავის ვერაფერში ვერ მოატყუებს! ჩვენთვის კი რა არის მთავარი? ის, რომ მსოფლიოში შექმნილი დღევანდელი რეალობა საჩვენოდ გამოვიყენოთ და, ახალი თუ ძველი პარტნიორების მხარდაჭერით, შევძლოთ რუსეთთან პოლიტიკის იმ დონეზე დალაგება, რომ დაკარგული ტერიტორიები დავიბრუნოთ.

**– მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდომის აუცილებლობაზე ხომ, რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დმიტრი მედვედევმაც ისაუბრა, სულ ცოტა ხის წინ...**

– ნებისმიერი კონფლიქტის მოგვარების ერთადერთი გზა, მოლაპარაკების გზაა. თუ ვინმეს ჰგონია, საქართველო ტერიტორიებს რუსეთთან მოლაპარაკების გარეშე დაიბრუნებს, ის პოლიტიკური ბეცია, ხოლო თუკი ვინმე შეგნებულად გვატყუებს, ის უკვე ქართველი ხალხის მტერია! ვერც ევროკავშირი და ვერც NATO (ხვალვე რომ მიგვიღონ წევრად), ვერც ამერიკა, ვერც ჩინეთი, ვერც თურქეთი, ვერც ისრაელი და ვერც ვერავინ სხვა, ვინც არ უნდა ჩაგვიდგეს თავდებში, ვერ შეძლებს ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, თავად კონფლიქტის მხარის ჩართულობის გარეშე,..

**– არც რუსეთთან და არც „ბრიქსთან“, ამ ეტაპზე, საქართველო არანაირ მოლაპარაკებებს არ აწარმოებს, აი, ევროკავშირში კი, ბოლო ათწლეულებია ვცდილობთ მოხვედრას. თუმცა, ამის პასუხად, სულ რამდენიმე დღის წინ, ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა განაცხადა, მინიმუმ კიდევ შვიდი წელი მოგიწევთ ლოდინიო... შარლ მიშელის განცხადებაში თქვენ პოზიტიური გზავნილები უფრო დაინახეთ თუ ნეგატიური?**

– დასავლეთის მხრიდან მუდმივად გვესმის დაპირებები, დაპირებები, და-

## ვატო შაქარიშვილი: მაინც რატომ უწოდებდა ჯორჯ ბუში სააკაშვილის პირსისხლიან დიქტატორულ რეჟიმს დემოკრატიის შუქურას?!



**„ჯორჯ ბუში გულნატკენი ყოფილა პატიმარი სააკაშვილის შემყურე და კითხვები ჰქონია საქართველოს დემოკრატიულობის შესახებ... ჯორჯ ბუშთანაც აქვს კითხვები მთელს მსოფლიოს – ერაყის განადგურებაზე, იქ არ არსებულ ქიმიურ-ბიოლოგიურ იარაღზე! ავღანეთზე! 11 სექტემბერზე!“** – წერს საზოგადოებრივი მოძრაობის „საქართველო, უპირველეს ყოვლისა“ დამფუძნებელი **ვატო შაქარიშვილი,** რითაც ამერიკის შეერთებული შტატების 43-ე პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის წერილს ეხმიანება, სადაც ნათქვამია, რომ „კითხვები კვლავ არსებობს საქართველოს ხელისუფლების ერთგულებაზე დემოკრატიული ღირებულებების მიმართ – გულს მტკენს ის, თუ როგორ ექცევიან სააკაშვილს ციხეში“.



**„ჯორჯ ბუში გულნატკენი ყოფილა პატიმარი სააკაშვილის შემყურე და კითხვები ჰქონია საქართველოს დემოკრატიულობის შესახებ...**

**ჯორჯ ბუშთანაც აქვს კითხვები მთელ მსოფლიოს – ერაყის განადგურებაზე, იქ არ არსებულ ქიმიურ-ბიოლოგიურ იარაღზე! ავღანეთზე! 11 სექტემბერზე!**

**საქართველოდანაც ბევრი კითხვაა – რატომ უწოდებდა თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე პირსისხლიან დიქტატორულ რეჟიმს დემოკრატიის შუქურას?! რატომ „გაუპრავა“ მოპარული საპრეზიდენტო არჩევნები სააკაშვილს?! რა როლი ჰქონდა ბუშს, დიკ ჩეინის და მათ ადმინისტრაციას 2008 წლის ავანტიურაში და ა.შ. და ა.შ. აღნიშნული კითხვები ჩვენც დევიდ კრამერს გავატანოთ?..“** – წერს **ვატო შაქარიშვილი** სოციალურ ქსელში.

## ზაალ ანჯაფარიძე: სააკაშვილს აშკარა დანაშაულებზე თხოვენ პასუხს!

ანალიტიკოსი **ზაალ ანჯაფარიძე** ამერიკის შეერთებული შტატების 43-ე პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის წერილს ეხმიანება, სადაც ნათქვამია, რომ „კითხვები კვლავ არსებობს საქართველოს ხელისუფლების ერთგულებაზე დემოკრატიული ღირებულებების მიმართ – გულს მტკენს ის, თუ როგორ ექცევიან სააკაშვილს ციხეში“.



**„ვინმემ ჰკითხოს ამ სუბიექტს, თავად ამერიკელები როგორ ექცევიან მათ ყოფილ პრეზიდენტს დონალდ ტრამპს. როგორც მას სთხოვენ პასუხს ჩადენილ კანონდარღვევებზე, ზუსტად ისე სთხოვენ პასუხს სააკაშვილს მის მიერ ჩადენილ სრულიად აშკარა დანაშაულებზე, საზღვრის უკანონო გადმოკვეთის ჩათვლით“...**

## ზურაბ ქადაგიძე: დევიდ კრამერს ქართული კონსტიტუცია ფეხებზე ჰკიდია!

„ხალხის ძალის“ წევრი **ზურაბ ქადაგიძე** აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილი მაღალჩინოსნის და ჯორჯ ბუშის ინსტიტუტის გლობალური პოლიტიკის დირექტორის, დევიდ კრამერის განცხადებას ეხმიანება, რომელიც თვლის, რომ „პრეზიდენტის იმპიჩმენტი არ არის სწორი გადაწყვეტილება“. როგორც ქადაგიძე აღნიშნავს, დევიდ კრამერი გახლავთ რადიკალიზმისა და პოლარიზაციის მთავარი ხელშემწყობი საქართველოში.



**„დღეს თბილისში ქართული რადიკალიზმის, პოლარიზაციისა და კოლექტიური „ნაცმოძრაობის“ ლობისტების შეკრებაა, სადაც მთელი დღის განმავლობაში იმსჯელებენ, როგორ მოახდინონ ხელისუფლების უზურპაცია, თუმცა პრობლემატურია ის საკითხი, რომ არჩევნების გზით ასეთი ფორმაციის ოპოზიცია ხელისუფლებაში ვერასდროს მოვა და იქნებ შემოვლითი გზებით ეცადათ. ჰოდა, მაგ შემოვლით გზებზე იქნება საუბარი დღეს კონფერენციაზე, რომელსაც ძალიან „მსუყე“ სახელი შეურჩიეს, რეალური მიზნების შენიღბვისთვის – „პუტინიზმის დამარცხება“... პუტინს ამარცხებენ, ოღონდ საკუთარი ინტერესების ხარჯზე არა, აი, საქართველო კარგი საზარბაზნე ხორცია და გლობალური ომის პარტიის ინტერესებს თუ შეეწირება, მით უკეთესი.**

**სამწუხაროდ, მათ ამაში დღევანდელი ხელისუფლება უშლით ხელს და ეგ არის ყველაზე დიდი წინაღობა მათთვის. ფოტოზეა დღევანდელი დღის განსაკუთრებული მოვლენა, ამერიკის ჩრდილოვან-ელიტური გავლენებისა და ლობიზმის კორიფე კრამერი. ხომ ეტყობა ახლა ამას, რომ ქართული კონსტიტუცია სულ ფეხებზე ჰკიდია და ეკიდა მაშინაც, როდესაც მელიას უპირობო გათავისუფლებას მოითხოვდა, მერე სააკაშვილის გაყვანას ჰუმანიტარული მისიით, ბიძინა ივანიშვილის დასანქცირებაზეც საუბრობდა, ოღონდ რეალურ მიზეზს ვერ ასახელებდა. მოკლედ, ეს კაცი გახლავთ**



**რადიკალიზმისა და პოლარიზაციის მთავარი ხელშემწყობი საქართველოში, რომელსაც ეს ქვეყანა, მისი კანონები და ეროვნული ინტერესები, სულ მწვანე ფრანკლინზე ჰკიდია... გაინტერესებთ, გლობალური ომის პარტიის ხილული საზოგადოება გინდ შინაური და გარეული? დააკვირდით დღევანდელ კონფერენციას!“...**

# საქართველო აღარაა ის ქვეყანა, რომელსაც, ხან ერთი ქვეყანა იპყრობდა, ხან მეორე, საქართველომ ისწავლა დამოუკიდებელი პოლიტიკური თამაში, რასაც არ გვპატიობენ, რომლის გამოც გვაკრიტიკებენ, რომლის გამოც „რუსეთუმეებს“ გვეძახიან





პირებები... ამ შეუსრულებელმა დაპირებებმა კი, ქართველ ხალხში იმედგაცრუება გამოიწვია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის მხრიდან არ ყოფილა იმდენი დაპირება, რამდენიც იყო NATO-ს მხრიდან, რადგან ევროკავშირის წევრობისთვის, მართლაც მთელი რიგი პროცედურები იყო გასავლელი. NATO-ს მსგავსად, ევროკავშირთან მიმართებაშიც აქვს ქართველ ხალხს იმედგაცრუება. შარლ მიშელის ბოლო განცხადებამ კი ცხადყო, რომ კანდიდატის სტატუსის მონიჭება დეკემბერში, 2030 წლისთვის კი, კავშირის წევრობა, იმედისმომცემი დაპირება კი არა, უკვე რეალური ფაქტი იქნება!

**– ქალბატონო თამარ, რა გაძლევთ ამ უზარმაზარი ოპტიმიზმის საბაბს?**

– საქართველოს როლი მსოფლიო გლობალურ პოლიტიკაში მკვეთრად გაიზარდა. სულ ვამბობდი და დღესაც გავიმეორებ, რომ თავად საქართველოს არ სჭირდება იმდენად ევროკავშირი, რამდენადაც ევროკავშირს სჭირდება საქართველო, ეს პრივილეგია ჩვენთვის არავის უჩუქებია, ეს ფუნქცია მსოფლიო პოლიტიკაში თავად საქართველომ მოიპოვა! მსოფლიოს პოლიტიკური ეპიცენტრი თითქმის საუკუნის მანძილზე ევროპა იყო, თუმცა, ეს მოცემულობა იცვლება, აღმოსავლეთის და სამხრეთის გიგანტი სახელმწიფოების გაძლიერებამ და მათ ლიდერ სახელმწიფოებად ჩამოყალიბებამ დედამიწა გააწონასწორა, რის შედეგად, გეოგრაფიული თვალსაზრისით, პოლიტიკური ეპიცენტრი გადმოდის კავკასიაში, სადაც დომინანტი ქვეყანა საქართველოა. გაეროს მიერ გამოყენებული ტერმინიც გემახსოვრებათ, რომლის მიხედვითაც, ჩვენ გეოპოლიტიკური კარიბჭე ვართ (ამ ტერმინს, საქართველოსთან მიმართებაში, ევროკავშირიც იყენებს). ანუ, როგორც იქნა ყველამ აღიარა, რომ ჩვენი პატარა ქვეყანა მხოლოდ გეოგრაფიული კი არა, მსოფლიოს გეოპოლიტიკური კარიბჭეცაა, რაც თავიდან ბოლომდე, საქართველოს მოქმედი ხელისუფლების დამსახურებაა!

**– მსოფლიო პოლიტიკური ეპიცენტრი იცვლებაო, განაცხადეთ... ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტი და სი ძინპინის მხრიდან ირაკლი ღარიბაშვილის პომპეზური დახვედრაც იმას ხომ არ მოწმობს, რომ საქართველო მხოლოდ ერთი მიმართულებით აღარ იყურება?**

– თქვენ თავადაც ნახეთ, როგორ გამოეხმაურნენ ევროპელები ირაკლი ღარიბაშვილის ჩინეთში ვიზიტს და საქართველო-ჩინეთის სტრატეგიულ კავშირებს. ანუ ჩვენი როლი მსოფლიოში აღიარა როგორც დასავლეთმა, ისე აღმოსავლეთმაც, რასაც, დარწმუნებული ვარ, საქართველოსადმი სულ სხვა მიდგომები მოჰყვება რუსეთის მხრიდანაც! მერწმუნეთ, საქართველო აღარაა ის ქვეყანა, რომელსაც, ხან ერთი ქვეყანა იპყრობდა, ხან მეორე, საქართველომ ისწავლა დამოუკიდებელი პოლიტიკური თამაში, რასაც არ გვპატიობენ, რომლის გამოც გვაკრიტიკებენ, რომლის გამოც „რუსეთუმეებს“ გვეძახიან. ანუ, დღეს საქართველოში „რუსეთუმედ“ მოიხსენიებენ იმას, ვინც ნამდვილ, ეროვნულ, ქართულ პოლიტიკას აწარმოებს, მაგრამ არაუშავს, ჩვენ ამას არ ვაქცევთ ყურადღებას, ჩვენ ვაკეთებთ ჩვენს საქმეს, ხელისუფლება აკეთებს თავის საქმეს, ანუ იმას, რაც ქვეყანას სასიცოცხლოდ სჭირდება! ამ გარდამავალ პერიოდში, როდესაც ახალი მსოფლიო წესრიგი ყალიბდება, ისეთი პატარა ქვეყანა, როგორიც ჩვენ ვართ, ასეთ ამბიციურ განაცხადს აკეთებს, რომ მას სურს დამოუკიდებლად არსებობა და არა ქვეშევრდომობა, როგორც აქამდე იყო. საქართველო იწყებს პარტნიორობასა და თანამშრომლობას სხვადასხვა სახელმწიფოებთან.

**– და ბოლოს, კანდიდატის სტატუსის მისაღებად 12-პუნქტიანი შეთანხმება გვაქვს შესასრულებელი. როგორ ფიქრობთ, ყველა სხვა პუნქტი რომ შესრულდეს, როგორ შევასრულებთ დეპოლარიზაციის პუნქტს, იმ დროს როდესაც, დასავლეთი მხარს რადიკალურ ოპოზიციას უჭერს, რომელიც ყველა მოვლენას სათავისოდ იყენებს და პოლარიზაციას აღრმავებს... ანუ, თუკი თავად დასავლეთი წააქეზებს დეპოლარიზაციას, როგორ შეასრულებს ხელისუფლება ამ პუნქტს?**

– ეს პუნქტი შესრულებული ვერ იქნება და, დარწმუნებული ვარ, თავად ევროპელებს მოუწევთ ამ პუნქტზე თვალის დახუჭვა. ევროპა და ამერიკა, ყველა საკითხში ერთ აზრზე არ არიან, რადგან, პრეზიდენტ ბაიდენის ადმინისტრაციის შეცდომები ყველაზე მეტად სწორედ ევროპას აზარალებს. პოლარიზაციას საქართველოში შეგნებულად აღვივებენ, რათა მოქმედი ხელისუფლება გზიდან ჩამოიშორონ, თუმცაღა, ევროპა ბოლომდე აღარ ემორჩილება ამერიკის ბრძანებებს. ჩვენ კანდიდატის სტატუსი ევროპაზე ამერიკის ზეწოლის გამო არ მოგცეს, თუმცა, მჯერა, რომ ევროპა აღარ გაიმეორებს უკვე დაშვებულ შეცდომას და ამჯერად მაინც გაუძლებს ამერიკის ზეწოლას.

REPORTIORI.GE

---

# როდემდე, თავის მართლების პოზიციაში?

## „ზოგჯერ თქმა სჯობს არა-თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“, – უტყუარი შეგონებაა, თუ შეიგნებ, რა თქმა უნდა!

**ევროპისა და ამერიკის პოლიტიკურ არენაზე, ჩვენი ოპოზიციონერ – რადიკალების გამოისობით, საქართველოს მთავრობას, თუ თავს არ მოვიტყუებთ, მყარი ავტორიტეტი არა აქვს. ამ ახალმა, ვითომ პოლიტიკურმა წარმონაქმნმა – ოპოზიციამ, ისე „იშრომა“ და ისე მოახერხა, ლობისტებშიც იმდენი ფული დახარჯა, რომ საკმაოდ შელახა სათავეში მოსული ქართული პოლიტიკური პარტიის სახელი.**

მსოფლიოში ომი რომელ ძლიერ სახელმწიფოს არ გაუჩაღებია, რომელი არ შეჭრილა ამა თუ იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მითხარით, რომელი? ამერიკა, ინგლისი, საფრანგეთი და სხვა მრავალი, – ხომ ასეა, მაგრამ რუსეთის შეჭრამ უკრაინაში, რომ მსოფლიო შეძრა, არიქა, ეს რა ჩაიდინა რუსეთმაო, – მსგავსი რამ ისტორიას არ ახსოვს. „რა ჩაიდინაო“ კი არა, თითქმის მთელი მსოფლიო ამარაგებს უკრაინას სამხედრო აღჭურვილობით, სურსათ-სანოვაგით.

ლამის ასეული მილიარდები აქვს ამერიკას დახარჯული უკრაინის ჯარის გასაძლიერებლად. სხვებსაც – არანაკლები. როგორ არ გაგვიკვირდეს მსოფლიოს ასეთი ერთობა ერთი სახელმწიფოს წინააღმდეგ, მაშინ, როდესაც გასულ წლებში, საქართველოს რუსეთმა ორჯერ შემოუტია, შემოჭრა ჩვენს ტერიტორიაზე, სისხლში ჩაგვაღრჩო და წაგვართვა ჩვენი სამშობლოს ულამაზესი კუთხეები, მაგრამ ოკუპანტი რუსეთისადმი მსგავსი რამ არავის უკისრია, არც ერთ სახელმწიფოს! ახლა კი სასწაულები ხდება! თითქოს, მოდად იქცა მსოფლიო პოლიტიკაში რუსეთის სახელმწიფოს დაგმობა, თავდამსხმელი და აგრესორი უნდა დაგმო, რა საკვირველია, მაგრამ მხოლოდ უკრაინის ომისთვის არა და არც მხოლოდ მაშინ, როდესაც ამერიკას ასე მოესურვება!

და რა სასურველია ქვეყანაზე ომი, თუ კი რაიმე განზრახვა არა გაქვს და შენთვის სარგებლობას არ ეძებ – ომი კი არ უნდა წაახალისო, უნდა დაგმო, ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს იგი. ადამიანების დასახოცად ახალი იარაღების გამოგონებით თავის მოწონება დიდი უზნეობაა. ეს თითქოს ყველა სახელმწიფომ იცის, მაგრამ რატომღაც, პირიქით ხდება, გრძელდება ათასეულობით ადამიანთა ხოცვა-ჟლეტა.

მერე ითვლიან, ვინ უფრო მეტი ჯარისკაცი და უდანაშაულო მოქალაქე გაანადგურა, უკრაინამ თუ რუსეთმა. გრძელდება დიდი სახელმწიფოებისადმი მონური მორჩილებაც, რაც ომის გასაგრძელებლად მხოლოდ დიდი თანხების გამოყოფაში კი არ ვლინდება, არამედ ლაქიაობაში. ლაქიაობა, ამა სხვა რაა, როდესაც ჩვენი ძვირფასი ოპოზიცია, მისთვის არასასურველ პარტიას - „ქართულ ოცნებას“ – „ რუსულ ოცნებას“ ეძახის, ქართული სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ, ყოფილ პრეზიდენტს „პუტინის ტყვეს“. ეს, უთუოდ, ვიღაც-ვიღაცეების სასიამოვნოდ!

* * *

**ძნელია ცხოვრება ქვეყანაში, სადაც ლაქიაობა, პირმოთნეობა, ორმაგი სტანდარტით ცხოვრება წესად ექცა ხალხს. თუმცა, რა გასაკვირია, როცა ასეთი ცხოვრებით თავად პოლიტიკოსები ცხოვრობენ (მგონი ეს ჩვევები ხალხმა მათგან აიღო).**

**სამწუხაროდ, ორმაგი სტანდარტით იმოქმედა „ქართული ოცნების“ მხარდაჭერით და სახელით, არჩევნებში გამარჯვებულმა პრეზიდენტმა და არ ვიცი ახლა, თქმა სჯობს თუ არა, მაგრამ, როდესაც ქვეყანა ევროკავშირში გასაწევრიანებლად მიგყავს, ამ მიზნის განსახორციელებლად წლების განმავლობაში მუხლჩაუხრელად შრომობ, მაგრამ, ამავე დროს კარგად ხედავ შენს ზურგს უკან მახვილით ხელში გამზადებულ შინაურ მტრებს (მივმართავ „ქართულ ოცნებას“)... ლაქიაობა და ორმაგი სტანდარტი არა, მაგრამ, დიპლომატია კი გმართებს ნამდვილად...**

**ან უბრალოდ, ხომ უნდა დაფიქრდე კარგად, რა ჯობია ამ დროს, უარი უთხრა უკვე ოპოზიციისკენ გადახრილ პრეზიდენტს, ევროპის ქვეყნებში პოლიტიკურ ვოიაჟებზე, თუ პირიქით, როცა აგერ, ცხვირწინ ევროკავშირის წევრობის კანდიდატობას („წევრობის კანდიდატობა“ კიდევ რაღა ჯანდაბაა!) სულმოუთქმელად ელი, ამ დროს, ვფიქრობ, რომ უნდა მისცე ლიმიტი მას (პრეზიდენტს!), დატვირთო შენი ქვეყნისთვის სასასარგებლო წინადადებებით, წინ წამოსწიო შენი პარტიის თაოსნობით და ქალბატონი პრეზიდენტი საქართველოს მთავრობის სახელით წარუდგინო ევროკავშირელებს?**

**არა, ასე არ მოვიქეცით და რა მივიღეთ? ოპოზიცია „ახალი ვიტამინებით“ გავაძლიერეთ, გამოვაცოცხლეთ, საზღვარგარეთელ „მეგობრებსაც“ ეჭვების საფუძველი განვუმტკიცეთ! ახლა, ჩემო ძვირფასო ბატონებო, დადექით და იმართლეთ თავი, კონსტიტუციის ესა და ის მუხლი დაარღვიაო ქალბატონმა პრეზიდენტმა, იმპიჩმენტის უფლებაც გამოიყენეთ, სამწუხაროდ, ვფიქრობ, რომ ამით უფრო განაცვიფრებთ ევროპისა და ამერიკის პოლიტიკურ საზოგადოებას. როდემდე, როდემდე, თავის მართლების პოზიციაში?**



**გულნარა სტურუა**

---

# ტელეკომპანია „ფორმულამ“ ამერიკულ ლობისტურ კომპანიას მაის-აგვისტოში 110. 000 დოლარი გადაუხადა

**აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ინფორმაციით, ტელეკომპანია „ფორმულამ“ ამერიკულ ლობისტურ კომპანია „ქორნერსთოუნ გავერმენთ ეფეარსს“ მიმდინარე წლის მაის-აგვისტოში განხორციელებულ მომსახურებაში 110 000 დოლარი გადაუხადა.**

**აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, ტელეკომპანია „ფორმულა“ რეგისტრირებულია მიმდინარე წლის მაისში. ლობისტური კომპანია უზრუნველყოფს საზოგადოებრივ საქმეთა და კომუნიკაციების კონსულტაციებს, დაკავშირებულია აშშ-ში „ფორმულას“ საკომუნიკაციო პროგრამის შემუშავებასა და მართვასთან. გავრცელებული ცნობით, ლობისტური კომპანია ჩაერთვება აქტივობებში უცხოელი შემკვეთის სახელით, რათა აცნობოს აშშ-ის საზოგადოებას საქართველოში მიმდინარე საკითხების შესახებ, რაც ეხება დამოუკიდებელი მედიისადმი დამოკიდებულებას საქართველოში.**

# საერთაშორისო შიდა აეროპორტები საქართველოში

## ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში 85 მილიონი ლარის ინვესტიცია განხორციელდება



**ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში სახელმწიფოს მხრიდან 85 მილიონი ლარის ინვესტიცია განხორციელდება, რომ აეროპორტმა სრულფასოვნად შეასრულოს თავის ფუნქცია-მოვალეობები,** – ამის შესახებ ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.

მისი თქმით, ქუთაისის აეროპორტი სრულყოფილი უნდა იყოს არა მხოლოდ სამგზავრო გადაზიდვებით, არამედ სრულად უნდა იყოს ათვისებული ის პოტენციალი, რომელიც მას აქვს.

**„ამიტომ ჩვენ გვჭირდება ასაფრენ-დასაფრენი ზოლი. იცით, რომ ქუთაისის აეროპორტში არსებულ ასაფრენ-დასაფრენ ზოლს ბევრი პრობლემა გააჩნია და ექსპერტული დასკვნების შესაბამისად, მისი რეაბილიტაცია შეუძლებელია. უკვე მიმდინარეობს პროექტირება და წლის ბოლომდე გვექნება ახალი პროექტი, რომლის შესაბამისად, შევარჩევთ მშენებელ კომპანიას“,** – აღნიშნა მინისტრმა.

ახალი ასაფრენ-დასაფრენი ზოლი 3.5 კმ სიგრძის იქნება და 18 თვეში უნდა იყოს დასრულებული.

**„განახლებული აეროპორტი ნიშნავს, რომ ჩვენ გვექნება შესაძლებლობა, მივიღოთ ყველა ტიპის ხომალდი როგორც სამგზავრო, ისე სატვირთო“,** – აღნიშნა ლევან დავითაშვილმა.

ამასთან, ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, **მიმდინარე წლის შვიდ თვეში პანდემიამდელ პერიოდთან შედარებით, ქუთაისის აეროპორტის მგზავრთნაკადი 90%-ით, ხოლო განხორციელებული ავიარეისების რაოდენობა 76%-ით მეტია. ისტორიულ მაქსიმუმს მიუახლოვდა ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან განხორციელებული ავიარეისების რაოდენობაც – პანდემიამდე, 2019 წლის ივლისის პერიოდთან შედარებით, 2023 წელს რეისების რაოდენობა 94%-ით არის გაზრდილი.**



# თელავის აეროპორტში პირველ მგზავრებს 2024 წელს მივიღებთ

**ვიწყებთ თელავის აეროპორტის რეაბილიტაციას, სადაც ახალი სატერმინალო ინფრასტრუქტურა მოეწყობა, ასევე დაგრძელდება ასაფრენ-დასაფრენი ზოლი და ჩვენ გვექნება პირდაპირი კავშირები ქუთაისის, ამბროლაურის, ბათუმის და მესტიის აეროპორტთან.**

შიდა ავიაციის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია შიდა რეისების ხელშეწყობა და ადგილობრივი აეროპორტების მოწყობა.

**„თელავის აეროპორტში მოეწყობა ახალი სატერმინალე ინფრასტრუქტურა. ასევე სრულად განახლდება და 1,7 კმ-მდე დაგრძელდება არსებული ასაფრენ-დასაფრენი ზოლი, მოეწყობა თანამედროვე სანავიგაციო სისტემები და აშენდება ახალი სანავიგაციო კოშკურა. შესაბამისად, ჩვენ გვექნება პირდაპირი კავშირები ქუთაისის, ამბროლაურის აეროპორტთან და მესტიასთან, სადაც სახელმწიფოს საკმაოდ თანამედროვე საავიაციო ინფრასტრუქტურა გააჩნია, ასევე ბათუმის საერთაშორისო აეროპორტთან.**

**ერთობლიობაში ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ტურიზმის განვითარების კუთხითაც, ვინაიდან განვითარებული ინფრასტრუქტურა ტურისტს საშუალებას მისცემს, ერთი დღის განმავლობაში მოინახულოს საზღვაო და გასტრო-ენოლოგიური კურორტები, ასევე ძალიან საინტერესო ადგილები მთაში, ესტუმროს მესტიას. ერთიანობაში ეს ხელს შეუწყობს როგორც ტურიზმის, ასევე შიდა ავიაციის განვითარებას. გვინდა, რომ თელავის აეროპორტში პირველი მგზავრები 2024 წელს მივიღოთ“.**

# მებაჟე ოფიცრები ახალ სამსახურებრივ ფორმებში გამოეწყვნენ!

**ზამთრისა და გაზაფხულის სეზონების ახალი ფორმები, მთელი ქვეყნის მასშტაბით, საბაჟო დეპარტამენტის 1550 თანამშრომელს დაურიგდა.**

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში მიმდინარე ინფრასტრუქტურული რეფორმების ფარგლებში, საბაჟო დეპარტამენტის ყველა გამშვები პუნქტისა და გაფორმების ეკონომიკური ზონის მებაჟე ოფიცრებს დღეიდან, საქართველოში წარმოებული, მაღალხარისხიანი ქსოვილისგან დამზადებული ახალი ფორმა და სპეციალური ეკიპირება გადაეცათ. თანამედროვე დიზაინის თბილი ქურთუკებიჰსაწვიმრები და ზამთრის ფეხსაცმელები სპეციალურად საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის არის შექმნილი და საერთაშორისო სტანდარტს სრულად აკმაყოფილებს. მებაჟე ოფიცრების სამუშაო რეჟიმიდან და სხვადასხვა ლოკაციაზე რთული მეტეოროლოგიური პირობებიდან გამომდინარე, სამსახურებრივი ფორმის შექმნისას გათვალისწინებულია, როგორც მისი კომფორტულობა, ასევე თერმორეგულაციის სავალდებულო კომპონენტი და ხარისხი.



# გამოვლენილია კიდევ ერთი დანაშაულებრივი ქოლ-ცენტრი

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომელთა მიერ გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მიმდინარე წლის 1 სექტემბერს გამოვლენილია თბილისში მოქმედი ე.წ. სავარაუდო დანაშაულებრივი ქოლ-ცენტრი, რომელიც ოფისში დასაქმებული 20-მდე თანამშრომლის მეშვეობით ახორციელებდა საეჭვო საქმიანობას.**

საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, ოფისში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებულია დიდი ოდენობით ინფორმაციის მატარებელი ელექტრონული მოწყობილობები, მათ შორის კომპიუტერული ტექნიკა. ასევ,ე დაყადაღებულია „ქოლ-ცენტრის“ ხელმძღვანელ პირთა საბანკო ანგარიშები და უძრავ-მოძრავი ქონებები.



# „სმოგში“ ჩამხრჩვალი საქართველო

# გამონაბოლქვის კონტროლი დაიწყო

**გზებზე ავტოსატრანსპორტო ხილული გამონაბოლქვის კონტროლს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მოძრავი ეკიპაჟები სპეციალური ხელსაწყოებით მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ნორმისა და წესის შესაბამისად განახორციელებენ.**

სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში ფიზიკური პირი **პირველ ჯერზე დაჯარიმდება 100 ლარით, დარღვევის განმეორების შემთხვევაში (იგივე ქმედება ჩადენილი პირველი დაჯარიმებიდან 15 დღის შემდეგ) – 300 ლარით, ბოლოს დადებული სახდელიდან 15 დღის შემდეგ სამართალდარღვევის კვლავ განმეორების შემთხვევაში – 600 ლარით. იურიდიული პირი კი პირველ ჯერზე დაჯარიმდება 500 ლარით, განმეორებით შემთხვევაში – 1500 ლარით, მესამედ განმეორების შემთხვევაში – 3000 ლარით.**

გამონაბოლქვის შემადგენლობის შემოწმებაზე თავის არიდება ისჯება იმავე სანქციით. **ჯარიმის 10 დღის ვადაში გადახდის შემთხვევაში, სამარათალდამრღვევს ჯარიმის ოდენობა 20%-ით შეუმცირდება.**

**„პირი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდება იმ შემთხვევაში, თუ სამართალდარღვევის გამოვლენიდან ორი საათის განმავლობაში სატრანსპორტო საშუალების მძღოლი, მფლობელი ან/და მესაკუთრე თავისი ხარჯით სათანადო სატრანსპორტო საშუალებას აკრედიტებულ ინსპექტირების ცენტრში ჩაუტარებს ინსპექტირებას და დადგინდება, რომ აღნიშნული სატრანსპორტო საშუალების გამონაბოლქვი დადგენილ ნორმას შეესაბამება.**

**გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვში მავნე ნივთიერებათა შემადგენლობის კონტროლი საქართველოს ოთხ დიდ ქალაქში: თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და რუსთავში განხორციელდება. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტთან არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვისა და ეკოტრანსპორტის დანერგვის ხელშეწყობის საკითხების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის მიერ დამტკიცებული რეკომენდაციის საფუძველზე, საგაზაფხულო სესიის ფარგლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ წარმოადგინა საკანონმდებლო ინიციატივა – გზებზე ვიზუალურად ხილვადი გამონაბოლქვის მქონე სატრანსპორტო საშუალების გამონაბოლქვში მავნე ნივთიერებათა შემადგენლობის კონტროლის თაობაზე, რომელიც საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა“,** – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

# რისი უფლება აქვს მძღოლს თუ გამონაბოლქვის გამო დაწერილ ჯარიმას არ ეთანხმება?

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის კოკა მელქაძის განმარტებით, თუ მოქალაქე ავტომანქანის გამონაბოლქვის გამო დაწერილ ჯარიმას არ ეთანხმება, მას უფლება აქვს მანქანას თავად ჩაუტაროს ინსპექტირება.

**„დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში სამართალდამრღვევი დაჯარიმდება. თუ პირს დაჯარიმებასთან დაკავშირებით პრეტენზია ექნება, უფლება აქვს, ავტოსატრანსპორტო საშუალებას, დარღვევის გამოვლენიდან 2 საათის განმავლობაში, თავისი ხარჯით, აკრედიტებულ ინსპექტირების ცენტრში ჩაუტაროს ექსპერტიზა და თუ დარღვევა არ დაფიქსირდება, გათავისუფლდება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან“,** – განაცხადა კოკა მელქაძემ.

**ამ გასაოცარ ფრაზას ქართული სიტყვის ჭეშმარიტი „მაჯაშისა შემტყვებარი“ გურამ გოგიაშვილი პანტაგრუელს ათქმევინებს თავის საეტაპო თარგმანში ფრანსუა რაბლეს „გარგანტუა და პანტაგრუელისა“, თანაც რა კონტექსტში – საგულისხმოდ რომ მიესადაგება თავად მთარგმნელის შემოქმედებით სულისკვეთებას:**

**„ვიდრე ცოცხალთაგან გამოვიმარცვლებოდე, თუკი ჩემსა ძაღლუმადურ წუთისოფელსა მრთელად და უვნებელად მოვჭამ... ყოველთა ამათ ცალმოგვ მეწიგნეთა ჯიბრზედ და გულისა გასახეთქად, ათასჯერ დაღეჭილსა და გადაღეჭილსა რომ ქექავენ... თუ კაცი ვარ, არცრას არ მოვერიდები, ქვეყანას შევძრავ, რაერთიც ბინიანი და უდავო საბუთია, სულ ხელთ მოვიგდებ და დასტურვყოფ, ბეჭედსა დავუსვამ, რომ სანიადაგო ჩვენი ენა არამც და არამც არ არის ისერიგად მდარე, აბდაუბდა, ღარიბი და კნინი, ვითარცა მაგათ ჰგონიათ!..“**



პანტაგრუელის ამ ქადილში აშკარად გამოისმის მწიგნობრულ ენათა „შეჯიბრის“ საუკუნოვანი გამოძახილი. და მთარგმნელიც თითქოს ამავე პასაჟში აჩვენებს, რომ ქართულისნაირად სხვა რომელიმე ენას, არცთუ იშვიათად, ნაკლებ ხელეწიფება სათქმელის ასეთი გამოხატვა. ყოველ შემთხვევაში, „ვიდრე ცოცხალთაგან გამოვიმარცვლებოდე“ მაინცდამაინც ქართულის უპირატესობაა, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ამ მეტაფორაში აშკარად ჩანს „ვაზის გამომარცვლის“ გამოძახილი...

მხოლოდ ამ კუთხითაც რომ შევხედოთ, თარგმნა, საზოგადოდ, „ენათა შეჯიბრის“ უნაპირო ასპარეზია და ამ ასპარეზზე გამარჯვებულნიც, ანუ მთარგმნელნი, გამორჩეულ ადგილს იკავებენ მშობლიური ენის მსახურთა შორის. ეს სულისკვეთება აშკარად ჩანს ბიბლიური წიგნების ძველ ქართულ თარგმანებშიც, „ვისრამიანშიც“, „ქილილა და დამანას“ საბასეულ ქართულშიც, შექსპირის ქართულ თარგმანებშიც... და თანამედროვე ქართველი მთარგმნელებიც უპირველესად ქართული ენის ამ „ძლევამოსილებას“ წარმოაჩენენ...

# „ვიდრე ცოცხალთაგან გამოვიმარცვლებოდე“...

## გურამ გოგიაშვილის გამოსათხოვარი ესკიზი

აღნიშნული „შეჯიბრებითობა“ განსაკუთრებით პოეზიის თარგმანებს შეეხება. ნიკა აგიაშვილის შესანიშნავი მოგონების თანახმად, ლადო ასათიანს მეგობრებმა რობერტ სოუთის „ლოდორის ჩანჩქერის“ თარგმნა სთხოვეს (იმჟამინდელი რუსული თარგმანის შთაბეჭდილებით) – ასეთი ფუნაგორიით: „მოდი, თარგმნე, ჩვენო ლადო, ვით ერთვიან წყლები ლადორს, თუ გინდა, რომ სახინკლეში ჰას-ქაბაბი გიწილადოთ.“ ლადოს თანხმობა არ უთქვამს, მაგრამ „ჯიბრი“ გულში ჩაიდო და რამდენიმე დღეში ლექსის ქართული თარგმანი მოიტანა: „ვით ერთვიან წყლები ლოდორს? ხრიალით, გრიალით, მჩქეფარედ, მღელვარედ, გუგუნით, ღუღუნით, ქუხილით, დუღილით... სულ წინსრბოლით და სწრაფმდინარებით მოქრის გიჟმაჟი, ლაღად მოგორავს, ასე ერთვიან მჩქეფარე წყლები პირმოკამკამე ფეხმარდ ლოდორას.“ რაც მთავარია, აქ რომ ადგილის დაზოგვის მიზნით მრავალ-მრავალწერტილია გამოყენებული, დაითვალეს მეგობრებმა ლადოსეული წყალთა ხმიანობის გამომხატველი სიტყვები და 78 ერთეული აღმოჩნდა, ანუ თითქმის ორჯერ მეტი იმაზე, რაც ლექსის რუსულ თარგმანში გამოეყენებინათ!

აქ, ცხადია, უმალვე იჩენს თავს თარგმანის მხატვრული „შესაბამისობის“ საკითხი, რადგან (განსაკუთრებით) პოეზიაში ზუსტი ანალოგის მიღწევა სწორედ ენობრივი ფენომენის გამო არის შეუძლებელი, ხოლო ორიგინალზე „ნაკლები“ და ორიგინალზე „მეტი“ - ორივე რეალობის დარღვევაა. ამიტომაც არის, რომ მთარგმნელის გამარჯვებად მხოლოდ „ჯობნა“ აღიქმება. ყოველ შემთხვევაში, ენობრივი პოზიციიდან ეს „კრიტერიუმი“ ეჭვს არ იწვევს. სწორედ ასეთია ზემოთ მინიშნებული საეტაპო ქართული თარგმანები...

და ქართული ენის ძლევამოსილების ასეთი თვალსასეირო და გულსაამო ასპარეზი იყო ის, რასაც გურამ გოგიაშვილი უშურველად ახარჯავდა თავის შემოქმედებით ნიჭსა და ოსტატობას.

სწორედ უშურველობა და ძიების დაუშრეტელობა უნდა იყოს, საზოგადოდ, მთარგმნელის ნიჭის განსაკუთრებული ნიშანი. თარგმანებთან კალმის ოსტატთა დამოკიდებულება ერთგვაროვანი არა ჩანს. ბოლოს და ბოლოს, ყველას ახსოვს მირზა გელოვანის ირონიული: „ჩემთვის ლექსის თარგმანები ისე არის მკრთალი, როგორც ორჯერ ნაქმარევი ქალი...“ იშვიათი გულწრფელობით ჰპასუხობს პოეტი დავით შემოქმედელი თავისი მთარგმნელობითი პრაქტიკის შესახებ დასმულ კითხვას: „დავსძენ, მთარგმნელი ბუნებით უშურველი უნდა იყოს, რომ საუკეთესო სტრიქონები სათარგმნელ მწერალს მისცეს. ამ საქმეში ძუნწი ვერ გამოდგება. გამოგიტყდებით, მე ასეთი არა ვარ...“

ჭეშმარიტად, მთარგმნელობითი გამარჯვებები მხოლოდ სრული თავგამეტებით არის მოპოვებული... სწორედ ასეთი იყო თავისი თარგმანების მიხედვით გურამ გოგიაშვილი. ეს ქართლელი კაცი შემოქმედებაში ნამდვილად გულქართლი და სიტყვაქართლი იყო (თუ გავიხსენებთ იმას, რომ ზემონახსენებ სიტყვა „ძუნწს“ ერთ-ერთ ანტონიმად სწორედ „ქართლი“ უპირისპირდება); იგი, ქართული სიტყვის უშრეტი საგანძურის მატარებელი, შეიძლება ითქვას, ენობრივი დამოკიდებულების თვალსაზრისით გიორგი ლეონიძის მოწაფე და მემკვიდრე იყო; ხოლო „სიტყვის პაპასა“ და „სიტყვის დედას“ გიორგი შატბერაშვილივით ერთგულებდა...

განსაკუთრებით ნაყოფიერი შემოქმედებით-ენობრივი ასპარეზი და საჯილდაო ქვა ბატონი გურამისთვის უთუოდ აღმოჩნდა ფრანსუა რაბლეს გენიალური ნაწარმოები „გარგანტუა და პანტაგრუელი“. ამ ნაწარმოებს იგი დიდხანს და სრული თავგამეტებით თარგმნიდა. უპირველესად, მან ზუტად მოუძებნა ნაწარმოების გროტესკულ სტილს ზუსტი ქართული შესატყვისი, გამოიყენა რა იშვიათი ხერხი – სტილიზებული არქაული მხატვრული ირონიზებისათვის. ამ მეთოდის გენეზისზე ადრე მოგვიხდა მსჯელობა და აქ აღარ შევჩერდებით. რაც შეეხება თარგმანის ენობრივ მხარეს, აქ გაოცებასა და აღტაცებას იწვევს ლექსიკისა და სიტყვაწარმოების ის უშრეტი მარაგი, რომელიც ძველი ქართული მწერლობის საბასა და ჩუბინაშვილების ლექსიკონების, რაც მთავარია, არაერთი დიალექტის ლექსიკური წყაროებიდან საზრდოობს და ყოველ საქცევში გაგრძნობინებთ ქართული ენის დიდებულებასა და უშრეტობას. ამასაც ჯერ კიდევ მაშინ მივაქციეთ ყურადღება, როდესაც ქართული „გარგანტუას“ პირველი პუბლიკაციები გამოჩნდა და ამის მიზეზს ბოლოში ვიტყვით...

ცნობილია, რომ ბატონი გურამი დიდი გემოვნებით თარგმნიდა პოეზიასაც. ამ ოსტატობის დასტურია „გარგანტუას“ მკითხველთადმი მიმართვის პირველივე ტექსტი, რომლის პოეტურ წყობაშივე იკითხება(!) თარგმანის სტილისტიკური განაზრახი:

**მკითხველო ჩემო, ავსა და ბოროტს**
**ნუ ეძებ რასმე ამ წიგნსა შიგან,**
**ყველაფერს წვრილად შეიტყობ ბოლოს,**
**უკეთუ მართლად ჩახვდები იგავს.**
**ხინჯსაც უპოვნი, მსაჯული იყავ,**
**ოღონდ, უწყოდე, გულით გაცინებს**
**და გაგიქარვებს ჭმუნვას აწინდელს,**
**ყურთ არ დაგიღლის ფიცით და მტკიცით.**
**სიცილის ძაფით იმად ავკინძე,**
**დანატრული ხარ რამეთუ სიცილს.**

ფრანსუა რაბლეს ამ მასშტაბური ნაწარმოების თარგმნა ოდენ მხატვრული ამოცანა არ იყო, რაკი იშვიათია, როგორც გასტონ ბუაჩიძე აღნიშნავს, „ასეთი სიღრმის, უკიდეგანო, ენციკლოპედიური ხასიათის შედევრი“. ამ მრავალპლანიანი ცოდნისა და რეალიების გადმოტანა მთარგმნელისაგან მოითხოვდა ნაირგვარი სპეციალური სამეცნიერო ცოდნის მობილიზებასა და გათავისებას. ამის დასტურად თარგმანის არაერთი მონაკვეთის დამოწმება შეიძლება. ამჯერად მოვიხმობთ „გარგანტუას თამაშობათა“ ერთ მონაკვეთს, რომელიც თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს მთარგმნელის მიერ გაწეული სპეციალური ძიების მასშტაბს ხალხურ თამაშობათა სფეროში და იმასაც, თუ ამ ხერხით როგორ იქცევა გარგანტუა ქართველ ბავშვად თავისი ტრადიციული თამაშებით:

„მერმე გარგანტუა ძლივს წაილუღლუღებდა სამადლობელი ლოცვისა ორიოდ სიტყვასა, საყველაწმინდაოს გადაჰკრავდა, კბილთ ეშვისა ტანტრაბეჩით გამოიჩიჩქნიდა და, ღიზღიზისა გუნებაზედ დამდგარი, მსახურთ გაელაზღანდარავებოდა. მსახურნი ძირსა მწვანე სკლატ-მაუდსა დაჰფენდნენ, ზედ მრავალთა უმრავლეს სათამაშო ქაღალდსა გაშლიდნენ, უთვალავ კამათელსა დაჰყრიდნენ და უამრავ დაფა-ფიცარსა ჩაარიგებდნენ კოჭთა სამორინოდ. გარგანტუაც იდგა და თამაშობდა:

თულფობანასა, პირველობანასა, აღებობანასა, ქურდობანასა, გამარჯვებობანასა, გარჭობანასა, ასობანასა, ეკლობანასა, უბედურქალობანასა, მზაკვრობანასა, ათიანისა გასვლასა, იწილო-ბიწილოსა, თაგვ-ფიშიგსა, გადაბრუნებულსა, გულნაკლულობანასა, კარისკაცობანასა, ქმარობანასა, ყბედობანასა, ფულობანასა, ქორწილობანასა, კოჭინჭარასა, ეშმაკობანასა, ხელგაშლილობანასა, ოცდათერთმეტსა, პატიოსნობანასა, სამასობანასა, უბედურკაცობანასა, საჭივარასა, ტყუილობანასა, ჭაპანწყვეტასა, დოყლაპიობანასა, ყომარსა, ბაყაყაობასა, ტომრაობასა, ძროხუჭაობასა, გურზაობასა, კეგლსა, ეკრა, ბეკრა, ხელს გაეკრასა, გაქვავებულსა, ორმოობასა, ვყიდი შვრიასა, შეუბერე მუგუზალსა, კუკუმალობასა, ცოცხალ მსაჯულსა და მკვდარ მსაჯულსა, შამფურდაუწველობასა, მწყერობანასა, ცრუმასხარაობანასა, ცხრა-ცხრა ქვაობასა, კუზლარა არისკაცსა, წრებურთსა, ქერიჭამიანობასა, ღორობანასა, ხახუნობანასა, რკალობანასა, სალაობასა, კეჭნაობასა, ქუდმურაობასა, ბორბალასა, ომობანასა, ვადიდებთ წმინდა კოსმასა, ლაფტსა, ოკქვეშ გახტომასა, გერობანასა, გამურვასა, ბატონობანასა, გამოცნობანასა, დავლაობასა, მკითხაობანასა, ისნობანასა, წაგებით მოგებასა, გასაღებობანასა, ხურდაობასა, ლუწ-კენტაობასა, ჩილიკაობასა, ცალხაზაობასა, ზემყრელოსა, ხოჭოობანასა, დიდმარხვასა, ფუნდურაობანასა, დაჰკა ბურთსა, წრებურთსა, იფრინდას დაფრენასა, ქრცვინობანასა, ჩამოყაჭესა, ციხეკოშკობანასა, ომბლობანასა, ბერობანასა, მგელობანასა, გრძელ ჯორსა, მრგვალ ჯორსა, ლახტაობასა, ჩალიჩსა, ციბრუტობანასა, აიწონ-დაიწონასა, საფრთხობელობანასა, კურკობანასა, დედავმიშველაობასა, მშვილდოსნობასა, ავდარბენასა, დამფაობასა, შიგჭიდილასა, ძერაკორკოტასა, ჯინკრაობასა, ანაკუა-ბანაკუასა, ურდღლაობასა, მეორე მეტიასა, მესამე მეტიასა, განჯაფასა, მარსელურ ბრანწობანასა, კენჭაობასა, ჭადრაკსა, მელა-ბატობანასა, ქალაქობანასა, ყურთბალიშობასა, თეთრ ქალბატონობანასა, ღბლობანასა, ალჩუ-თოხანსა, ტაბლაობასა, მურაბობანასა, კოჭობანასა, ბორა-ბორასა, ნარდსა, ორობანასა, წრე-კაკუნაობასა, კოზალმოზალსა, უღმერთობანასა, ალაფობანასა, შაშსა, პრუწუწუნსა, დანაობასა, როგორც მოხვალ სვინაო, ისე წახვალ შინაოსა, გაკვრა ბურთსა, ხელი-ხელი პრასუნასა, ხაზბურთსა, ციხისა აღებასა, კედელბურთასა, გომბეშობანასა, ორკაპ მუხასა, ოთურმასა, მგლისა კუდსა, წაკუილობანასა, ჰილმენ, შუბი მომაწოდესა, საქანელობანასა, და ა. შ.

შედარებისათვის (და არა ნიშნის მოსაგებად) შეგვეძლო მოგვეხმო ნ. ლიუბიმოვის აღიარებული რუსული თარგმანის შესაბამისი ეპიზოდი, რომელიც სულაც არ გამოირჩევა ასეთივე ლაღობით. საგაზეთო პუბლიკაციაში მასალის დამოწმება არ მოხერხდება, მაგრამ სტატისტიკის ენით ვიტყვით, რომ რუს მთარგმნელს 150-ოდე თამაში აღუნუსხავს, მაშინ, როცა გურამ გოგიაშვილი აქაც შეუდარებლად ხელხვავიანია: თუ დათვლა არ გვეშლება, 250-მდე საბავშვო თამაშ-გართობა აქვს მოკრებილი!..

„გარგანტუა და პანტაგრუელი“ ალბათ ყველაზე სახიერი გამოხატულებაა გურამ გოგიაშვილის მთარგმნელობითი მოღვაწეობისა, ყველაზე დიდი დრო და ძალისხმევაც უთუოდ მან მოითხოვა ავტორისგან. მაგრამ მთარგმნელის მრავალმხრივი ხელხვავი მხოლოდ ამ ერთ წარმატებულ ცდას არ მოითვლის. მაგალითად, სხვას ვის უნდა ეთარგმნა, თუ არა გ. გოგიაშვილს, მ. პავიჩის „ხაზარული სიტყვის კონა“, რომელიც ასევე განსაკუთრებულ ენობრივ ასპარეზსა და ქართული სიტყვის არაერთ „გამარჯვებას“ გულისხმობს. და კიდევ რამდენი სხვაა გურამ გოგიაშვილისებურად გატკბილქართულებული უცხოური ლიტერატურის შედევრი...

მთარგმნელობითი მემკვიდრეობა ერთია, მაგრამ, ამას გარდა, მისი დაუშრობელი და დაუშრომელი კალამი სხვა რამდენგვარ ლიტერატურულ თუ პუბლიცისტურ თემას შეხებია. რაზეც არ უნდა ეწერა მას, თუნდაც მცირე, ხელმოუწერელ კომენტარშიც უმალ იცნობდით გოგიაშვილის კალმის მონასმს... ამიტომაც იყო, რომ ჩემი ძველი გემოვნებიანი კოლეგები ყოველთვის დადარაჯებული იყვნენ მისი ნაწერებისათვის, იცოდნენ, რომ აუცილებლად მოსდებდნენ ანკესს ახალ, ცინცხალ სალექსიკონო მარგალიტებს. ამიტომაც არის, რომ განმარტებითი ლექსიკონის „სარეზერვო ფონდი“ დიდად არის გამდიდრებული მისი მოხდენილი სიტყვებითა და ფრაზებით და ლექსიკონის გამოცემულ ტომებშიც მისი წილი დიდთა კალმოსანთა შორისაა... ამიტომვე იქნა არჩეული მისი „გარგანტუას“ თარგმანი მეცნიერებათა აკადემიის „რუსთაველის კომიტეტის“ მიერ, როგორც სასინჯი ბაზა თანამედროვე სიმფონია-ლექსიკონისათვის. მალე ყველასთვის გახდება თვალსაჩინო, თუ რა სიმდიდრისაა ამ დიდი ნაწარმოების ქართული და ისიც, რამდენად წარმატებულია ის თავად რაბლეს ნაწარმოების ენობრივ თავისუფლებასთან „შეჯიბრში“...

უთუოდ ყველას მოეხსენება, როგორ ელოდებოდა და ელაციცებოდა იგი ნებისმიერ ლექსიკონს, მით უფრო ამ ლექსიკონს, რომელიც მხოლოდ ერთი საჩვენებელი დეგუსტაცია იქნება ქართული ენის წინაშე გაწეული მისი სამსახურისა!..



**ავთანდილ არაბული**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიის აკადემიკოსი.**



# სრული ნეგატივი დიდი პოზიტივით

ამ წერილს ორი მიზეზის გამო ვწერ: ერთი ის გახლავთ, რომ **ამა თუ იმ პროცესის დასრულება, როგორც წესი, შეჯამებას ითხოვს ხოლმე;** ხოლო მეორე – ჩაგდებული საბრძოლო დავალებების გამო, ჩვენი ქვეყნისა და ხალხის მიმართ ბიოლოგიური ზიზღით გაჟღენთილ ამერიკის ელჩს (ყოფილს) **არ უნდა მიეცეს ბოლო სიტყვის დატოვების უფლება** (ათასგვარი **შეურაცხყოფით** „დახუნძლული" მისი ბოლო ინტერვიუ მაქვს მხედველობაში).

**სპეცოფიცერ კელი დეგნანის „მოღვაწეობა" საქართველოში,** გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, **უაღრესად დადებითი მოვლენა იყო.** ერთადერთი მექანიზმი, რომელიც პატარა სახელმწიფოს ზესახელმწიფოსგან თავისი ეროვნული ინტერესების დაცვისთვის გააჩნია – მხილებაა. **რომ არა კელი დეგნანი, საქართველოს ხელისუფლებას ძალიან გაუჭირდებოდა ქართველი საზოგადოებისთვის აეხსნა, რომ „ბოროტების იმპერიასთან" ათწლეულების მანძილზე მებრძოლი ამერიკის შეერთებული შტატები არც თვითონაა წმინდა წყლის დამლევი და რომ თავისი ინტერესების გატარებისთვის ყველაფერზეა ხელისმომწერი.**

**ამერიკის თითქმის ყველა ელჩი ჩვენს მიმართ, გარკვეული მეტ-ნაკლებობით (დროისა და ვითარების შესაბამისად), გამოხატავდა პატრონ-ყმურ დამოკიდებულებას. ამას თითქოს შეჩვეული ვიყავით, ოღონდ ბედის ანაბარა არ დავრჩენილიყავით ამ დაუნდობელ სამყაროში. მაგრამ ქალბატონი კელი... ეს სულ სხვა მასშტაბი იყო, სხვა განზომილება... მას, უბრალოდ, ვძულვართ, მზად არის, ერთიანად გაგვჟუჟოს, არა მხოლოდ საბრძოლო დავალების („მეორე ფრონტი") ფარგლებში, არამედ ისე, უცოდინარობითა და არაკვალიფიციურობით გამოწვეული თავისი სიპატარავის კომპლექსის დასაკმაყოფილებლად. დიპლომატიასთან სრულიად შეუსაბამო, „ნაჯახის მეთოდით" ჩატარებული სამუშაოები, არა მხოლოდ მომზადების დაბალი დონის, არამედ ამ მაღალი პერსონის შინაგანი დამოკიდებულების გამოხატულებაც იყო.**

## ცივი გონებით ვმართოთ ის პოლიტიკა, რომელმაც მშვიდობა შეგვინარჩუნა!

ამ ისტორიაში ყველაზე მძიმე ის გახლავთ, რომ ეს ყველაფერი **„მეგობარი" და „სტრატეგიული პარტნიორი" სახელმწიფოსადმი ამერიკის ადმინისტრაციის დამოკიდებულებას აჩვენებს.** როცა საქართველოსთან ურთიერთობაზე პასუხისმგებლობას ორ დაბალი რანგის ოფიცერს, **კელი დეგნანსა და ადამ კინზინგერს** აბარებენ, ეს მხოლოდ იმის მაუწყებელია, რომ ძალიან მეორეხარისხოვნებად გვთვლიან.

სწორედ ამიტომ აქვთ სწორება ხაზეიშვილებსა და წითლიძეებზე. ფართოდ აპრობირებული, **„ჩვენი ნაძირალების" პრინციპით მოქმედების დროს, გათვლა,** როგორც წესი, უჯიშოებზე, უსამშობლოებზე და **ყველანაირ კონკურენციაში უშანსო ადამიანებზე კეთდება – „მე დაგაყენებ შენზე ძლიერზე, შენზე ჭკვიანზე, შენზე მცოდნეზე წინ, სანაცვლოდ, სიტყვის შეუბრუნებლად შეასრულებ ჩემს ყველა დავალებას".**

ყველაფერი, რაზედაც აქამდე ვილაპარაკე, რასაკვირველია, მხოლოდ ნეგატიურად შეიძლება ფასდებოდეს. იკითხავთ, რაც მხოლოდ ნეგატიურად შეიძლება ფასდებოდეს, დადებითი და მითუმეტეს უაღრესად დადებითი როგორღა იქნებაო? **დადებითი და უაღრესად დადებითი ის გახლავთ, რომ ფაქტებს და მოვლენებს დაერქვათ თავისი სახელები.** დღეიდან ვიცით, რომ საფრთხეების დაძლევაში, **მშვიდობისთვის ბრძოლაში, მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა გვქონდეს** და რომ **ჩვენს განკარგულებაშია მხოლოდ ერთადერთი იარაღი – სიმართლე(!).**

ელდარ რიაზანოვის ცნობილი ფილმის კომიკურ პერსონაჟამდე დაშვებული „დიპლომატი" რომ არა, ქართულ საზოგადოებას ძალიან გაუჭირდებოდა იმის დაჯერება, რომ:

– ამერიკის შეერთებული შტატები დაინტერესებული იყო, **არჩევნებში ჩარევის, თუ ქუჩიდან დესტაბილიზაციის ორგანიზების გზით, მოეხდინა ხელისუფლების ცვლილება;**

– უკრაინის ხელისუფლების, „ევრომეგობრების", „ქართული ოპოზიციისა" და ოკეანის გაღმიდან უხვად დაფინანსებული ე.წ. ენჯეოების მიერ წარმოებული კამპანია, **„სოხუმსა და ცხინვალში გასეირნებასთან"** დაკავშირებით, **ამერიკის პოლიტიკური ისტებლიშმენტის კარნახით არის მართული;**

– წინასწარ ჩაგდებისთვის განწირული, **თბილისში არეულობის მოსაწყობად მოგონილი** ევროკავშირის წევრობის კანდიდატობის მოთხოვნის ინიცირება **„დასავლელი მეგობრების" ფანტაზიის ნაყოფია** და დღემდე მანიპულირებენ აღნიშნულით;

– საქართველოს შიდა პოლიტიკურ პროცესებში ჩარევა ხდება **აგენტურის ფართო ქსელის მეშვეობით,** რომელიც საერთო უწყინარი სახელით – **„სამოქალაქო სექტორი"** – არის შენიღბული. ამ სეგმენტის გადასარჩენად **(მათი საქმიანობის გამჭვირვალობის დასაბლოკად),** ამერიკული კანონის „რუსულ კანონად" გამოცხადებაც იკადრეს და ისიც იკადრეს, რომ **აკერმანების დატრენინგებული** გოგო-ბიჭები ცეცხლითა და მახვილით შეესიათ სამართალდამცველებისთვის, სახელმწიფო შენობებისა და სხვა უძრავ-მოძრავი ქონებისთვის.

ჩამონათვალი გრძელია, მაგრამ ვფიქრობ, ესეც საკმარისია ელჩი დეგნანის „დამსახურებებში" დასარწმუნებლად...

დასკვნა ასეთია, ემოციებისგან უნდა გავთავისუფლდეთ და ცივი გონებით ვმართოთ ის პოლიტიკა, რომელმაც მშვიდობა შეგვინარჩუნა. **უკრაინაში ომის დასრულებამდე ნარ-ეკლიან გზაზე გვიწევს სიარული, მაგრამ ხალხისა და ხელისუფლების ერთობით გავუძლებთ და ამ უსამართლო და უთანასწორო ბრძოლიდან უფრო გაძლიერებული გამოვალთ(!).**

**მშვიდობით, დეგნან...**
**სალამი, დანიგან.**

**ბიძინა დვალი**

04.09.2023 წ.

## კიმ ჩენ ინი რუსეთში ვიზიტს გეგმავს



**ჩრდილოეთ კორეის ლიდერი, კიმ ჩენ ინი რუსეთში ვიზიტს გეგმავს, რათა რუსეთისთვის მეტი იარაღის მიწოდების შესაძლებლობა და სამხედრო თანამშრომლობა განიხილოს.**

კიმ ჩენ ინი ვლადიმირ პუტინს ვლადივოსტოკში შეხვდება. გაზეთი The New York Times-ი აღნიშნავს, რომ ჩრდილოეთ კორეამ რუსეთს საარტილერიო ჭურვები და ტანკსაწინააღმდეგო რაკეტები უნდა მიაწოდოს, ხოლო კიმ ჩენ ინს სურს, რომ რუსეთმა ჩრდილოეთ კორეას მიაწოდოს მოწინავე ტექნოლოგიები თანამგზავრებისა და ატომური წყალქვეშა ნავებისთვის.

## თურქეთი უკრაინას ჭკუას არიგებს

**სოჭში ვლადიმირ პუტინთან გამართული შეხვედრის შემდეგ, თურქეთის პრეზიდენტმა, რეჯეფ თაიფ ერდოღანმა განაცხადა, რომ უკრაინამ უნდა შეარბილოს თავისი პოზიცია მარცვლეულის შეთანხმების აღდგენის შესახებ მოლაპარაკებებში.**



ერდოღანმა აღნიშნა, რომ თურქეთი მზად არის, თავისი წვლილი შეიტანოს, რომ რუსეთსა და უკრაინას პირდაპირი მოლაპარაკებები ჰქონდეთ. თავის მხრივ, რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმირ პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთი დაუყოვნებლივ აღადგენს შავი ზღვის მარცვლეულის შეთანხმებას, როგორც კი მისთვის მიცემული დაპირებები შესრულდება.

## უკრაინა ვეღარ დაიბრუნებს ოკუპირებულ ტერიტორიებს

**უნგრეთის პრემიერ-მინისტრის აპარატის უფროსმა გერგელი გულიაშმა განაცხადა, რომ რუსეთის ფედერაციას დასავლეთის ქვეყნებმა „უსაფრთხოების გარანტიები" – უნდა მისცეს.**

მისი თქმით, უკრაინა ნატოში არ უნდა შეიყვანონ.

ვიქტორ ორბანის ოფისის წარმომადგენლის თქმით, სამშვიდობოების განლაგება და სხვა მსგავსი გადაწყვეტილებები შეძლებს უკრაინაში მშვიდობის უზრუნველყოფას გრძელვადიან პერსპექტივაში.

ის დარწმუნებულია, რომ უკრაინა ვეღარ დააბრუნებს რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებს. ასევე, გულიაშს არ სჯერა, რომ რუსეთი საფრთხეს წარმოადგენს ცენტრალური ევროპისთვის. გარდა ამისა, გულიაშმა განაცხადა, რომ ეფექტური მოლაპარაკებები უკრაინასა და რუსეთს შორის მხოლოდ შეერთებული შტატების მონაწილეობით შეიძლება წარიმართოს.

## ესტონეთი კვალავ აგრძელებს ბიზნესს რუსეთთან

**500-დან 600-მდე ესტონური კომპანია კვლავ აწარმოებს ბიზნესს რუსეთთან. ინფორმაციას ამის შესახებ ესტონეთის საზოგადოებრივი მაუწყებელი ესტონეთის საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტის ოფიციალურ პირზე, კიული კურვიტსზე დაყრდნობით ავრცელებს.**

როგორც ესტონეთის საზოგადოებრივი მაუწყებელი იუწყება, ზოგიერთმა ესტონურმა ბიზნესმა გაწყვიტა საქმიანი კავშირი რუსეთთან, მაგრამ ბევრი კომპანია აგრძელებს თვეში ათობით მილიონი ევროს ღირებულების საქონლისა და მომსახურების ყიდვასა და გაყიდვას.

უკრაინში ომამდე ესტონეთიდან რუსეთში ყოველთვიურად ექსპორტირებული საქონლის ღირებულება 50-დან 70 მილიონ ევრომდე მერყეობდა. ეს მაჩვენებელი არ შეცვლილა. კიული კურვიტსის თქმით, ეს ნაწილობრივ განპირობებულია ფასების სწრაფი ზრდით, ასევე იმით, რომ საქონელი ხშირად მიდის არა ესტონეთიდან, არამედ ევროპის სხვა ქვეყნებიდან. ომამდე რუსეთში ესტონური წარმოშობის საქონლის ექსპორტი თვეში 31 მილიონ ევროს შეადგენდა. ივნისში ამ მაჩვენებელმა 9.5 მილიონი ევრო შეადგინა.

## ნახევარსაუკუნის წინანდელ საიდუმლოს ფარდა აეხადა

**იტალიის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ჯულიანო ამატომ განაცხადა, რომ 1980 წელს სიცილიის მახლობლად იტალიური სამგზავრო თვითმფრინავი McDonnell Douglas ЗC-9 საფრანგეთმა ჩამოაგდო.**



ავიაკატასტროფას 81 ადამიანი ემსხვერპლა. ამატოს ინფორმაციით, ფრანგებს სირიის დიქტატორის, მუამარ კადაფის თვითმფრინავის აფეთქება სურდათ, მაგრამ შეეშალათ და იტალიური ლაინერი ააფეთქეს. მისი თქმით, თვითმფრინავს რაკეტა ფრანგულმა ავიაგამანადგურებელმა ესროლა. მსგავსი ვერსია 1980 წელს იტალიის მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ფრანჩესკო კოსიგამ გამოთქვა. ამის შესახებ ყოფილ პრემიერს ინფორმაცია იტალიის სპეცსამსახურებმა მიაწოდეს. ანალოგიური ინფორმაცია ჰქონდათ ლიბიის სპეცსამსახურებსაც, რაც ტრიპოლის აღების და კადაფის დამხობის შემდეგ იყო აღმოჩენილი.

ჯულიანო ამატო აცხადებს, რომ მისი ვერსიის პირდაპირი მტკიცებულებები არ აქვს. 2000 წელს, როდესაც ის მთავრობის მეთაური იყო, მან ამ საქმის გამოძიების თხოვნით საფრანგეთის და აშშ-ის მაშინდელ პრეზიდენტებს ჟაკ შირაკს და ბილ კლინტონს მიმართა, მაგრამ, კონკრეტული პასუხი ვერ მიიღო. ამ ფაქტის კომენტირებისას საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, რომ ფრანგული მხარე ყოველთვის აწვდიდა იტალიას ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას და გამოძიებასთან სათანამშრომლოდ მომავალშიც მზად არის.

# პროსტიტუციის ისტორია

**წინა პუბლიკაციაში განხილული იყო ანტიკურ ხანაში სოლონის რეფორმიდან მოყოლებული, პროსტიტუციის დანაწილება და სპეციალიზაცია, მისი სოციალური წანამძღვრები და ხელშემწყობი ფაქტორები, სხვადასხვა სახეობები, ტოპოგრაფია და ლოკალიზაცია, პროსტუტირებულ ქალთა პიროვნება და ცხოვრების წესი, მათი კლიენტურა, ეკონომიკური ურთიერთობები, მამაკაცთა პროსტიტუცია, პროსტიტუციის ჰიგიენა, დაავადებები, სახელმწიფოს დამოკიდებულება მეძავობისადმი, მისი ასახვა ხელოვნებაში და სხვა.**

დღევანდელობის დარად, ძველმა ეპოქამაც დიდად განიცადა სქესობრივი მორალისადმი ორმაგი სტანდარტით მიდგომის წინააღმდეგობრივი და უზნეო ზეგავლენა. ამიტომაა, რომ ძველადაც, ისევე, როგორც ჩვენს დროში, სქესობრივი საკითხი ძალზე მძაფრად იდგა, რაც მისი გადაწყვეტის არაერთგზის მცდელობის საბაბი იყო. ამდენად, სულაც არაა გასაკვირი, რომ ამ უმწვავესი პრობლემის გადასაჭრელად გამუდმებით მიმდინარეობს ცალკეულ ასპექტთა რეფორმირება, თუმცა კი, როგორც ჩანს, ყოველი ასეთი მცდელობა სხვადასხვა ტიპის სულ ახალ-ახალ სირთულეებს წარმოშობს.

ანტიკურ ხანაში, პატრიარქატის ჭეშმარიტი პროდუქტი, რომელიც, არსებითად, **ქალისადმი, ინდივიდუალური სიყვარულისადმი და შრომისადმი ზიზღს ეფუძნებოდა.** ძველ დროში საძრახისი იყო მხოლოდ სქესობრივი ინსტინქტის ჭარბად დაკმაყოფილება, ზომიერება კი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოდ ითვლებოდა, თანაც მას დიდი სულიერი სიყვარულის საწინააღმდეგო საშუალებად მიიჩნევდნენ, რომელიც ერთგვარ სნეულებადაც კი ითვლებოდა!

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, ძველბერძნული საზოგადოების განვითარების ყველაზე ადრეულ ხანებშივე შეიძლება თვალი გადავავლოთ **პროსტიტუციის წინააღმდეგ მიმართულ ასკეტურ მოძრაობებს, რომელთაც თავდაპირველად რელიგიური ხასიათი ჰქონდათ, მაგრამ შემდგომ თანდათანობით შეიძინეს ფილოსოფიური საფუძველი, ბოლოს კი გამოძახილი ჰპოვეს და პრაქტიკულადაც განხორციელდნენ საერო მეცნიერებებში (მაგალითად, მედიცინაში). ასეთ ძველისძველ რელიგიურ-ფილოსოფიურ შეხედულებებს, რომლებიც სქესობრივ ცხოვრებას უარჰყოფენ, უწინარესად, მიეკუთვნება ქრისტიანობა.**

უკვე აღინიშნა, რომ სქესობრივ ცხოვრებას ანტიკურ ხანაში ერთი მხრივ **რელიგიური ხასიათი** ჰქონდა: ის ღვთაებას ეძღვნებოდა, ამიტომაც წმინდა ქმედებად მიიჩნეოდა, რაც თვალნათლივ ჩანს რელიგიურ პროსტიტუციაში, ფალოსურ კულტებსა და სიმბოლოებში. ამ სახით ის დედამიწის ყველა კუთხეში მცხოვრებ ხალხებში გვხვდება. მეორე მხრივ კი, ასეთივე ფართო გავრცელებისაა საპირისპირო წარმოდგენა, რომლითაც სქესობრივი ცხოვრება რაღაც უწმინდურობად, ღვთაების უკადრის ქმედებად მიიჩნეოდა, რადგან დედამიწაზე მათი ოფიციალური წარმომადგენლები — ორივე სქესის ქურუმები — თავს იკავებდნენ სქესობრივი ცხოვრებისგან და მოვალენი იყვნენ უბიწობა შეენახათ. რელიგიური მოტივით სქესობრივი ცხოვრებისგან თავის შეკავების იდეა მთელს მსოფლიოში იყო გავრცელებული.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №83, 85-87, 90, 93, 99

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს ისიც, რომ საბერძნეთშიც და რომშიც, ასკეტური იდეალიზმი პრაქტიკულად მხოლოდ რელიგიურ დაწესებულებებში (მაგალითად, დიონისესა და ვესტას ტაძრების მსახურებში) არსებობდა, ხალხის მასაში კი მას ისეთი გამოძახილი, როგორც ეს მოვიანებით ქრისტიანობაში განხორციელდა, არ ჰქონია.

ისიც უნდა ითქვას, რომ **წმინდა და სულიერი სიყვარულის უწმინდურსა და ხორციელი ლტოლვის ურთიერთდაპირისპირება, რომელიც შემდგომ სხეულსა და სულს შორის დუალიზმში გადაიზარდა, უძველეს ბერძნულ მითოლოგიაშიცაა გამოკვეთილად ასახული.** ამ რელიგიურ წარმოდგენებს ერწყმოდა ძველი და შუასაუკუნოვანი, ასევე ახალი დროის ფილოსოფოსთა კვლევები და იდეები, რომელთაც უდიდესი ზეგავლენა მოახდინეს უკვე აღნიშნული დუალიზმის განვითარებაზე. სწორედ ამ დუალიზმის წყალობით იყო, რომ სულიერი სულ უფრო მეტად შორდებოდა ხორციელს, რომელიც უფრო მდაბიო, ნაკლებად ფასეულ საწყისად მიიჩნეოდა, რითაც გარკვეული დამღა ედებოდა სქესობრივ ცხოვრებასაც. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ **ექიმები სერიოზულად ბჭობდნენ იმის თაობაზე, სარგებლის თუ ზიანის მომტანია ჯანმრთელობისთვის ქალწულობა და ამ მხრივ აზრი დაახლოებით თანაბრად იყო განაწილებული.** პლატონი კი პირველი ფილოსოფოსი იყო, რომელმაც განავითარა აზრი სქესობრივი პროცესების სულიერ მოვლენებში გარდაქმნის, მათი სუბლიმაციის შესახებ, რომელიც შემდგომ უსაზღვროდ განავითარეს ნიცშემ და ფროიდმა.



**გერმანია** — ევროპის ერთ-ერთი უძველესი ქვეყანაა, ამდენად დიდად გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ დედამიწაზე უძველესი პროფესია — პროსტიტუცია, იქ თავისუფლად არსებობს. გერმანიაში ის ლეგალური იყო მთელი მისი ისტორიის მანძილზე. მე-19 საუკუნის დასაწყისში კი, მასზე მეტი კონტროლის დასაწესებლად, რეგულირების სპეციალური სისტემაც კი შემოიღეს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მეფე ფრიდრიხ-ვილჰემ IV-ის დროს, საროსკიპოები რამდენიმე წლით არკძალული იყო, თანაც მეძავები აუცილებელ რეგისტრაციას ექვემდებარებოდნენ.

ვაიმარის რესპუბლიკის დროს კი, ვენერიულ სნეულებებთან ბრძოლის კამპანიის ფარგლებში, ხელისუფლებამ გაიზიარა იდეა იმის თაობაზე, რომ პროსტიტუცია სისხლის სამართლის კანონმდებლობით არა დასჯადი, არამედ კონტროლირებადი უნდა ყოფილიყო. დაწესებულ შეზღუდვებს შორის კი აღსანიშნავია, რომ სკოლებისა და ტაძრების მახლობლად, ბორდელების განთავსება აკრძალული იყო.





**პლატონი** პირველი ფილოსოფოსი იყო, რომელმაც განავითარა აზრი სქესობრივი პროცესების სულიერ მოვლენებში გარდაქმნის, მათი სუბლიმაციის შესახებ, რომელიც შემდგომ უსაზღვროდ განავითარეს ნიცშემ და ფროიდმა.

**ანტიკური ხანის მომდევნო დროში, ფართოდ იყო გავრცელებული შეხედულება, რომ სქესობრივი ცხოვრება რაღაც უწმინდურ, ცოდვილიან, თვით დედა-ბუნების საწინააღმდეგო ქმედებას წარმოადგენს.** ასეთი აზრის ფართოდ გავრცელების შედეგი უკვე იმ დროს გახდა ორი მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა, რომლებიც მას აქეთ ერთობ დამღუპველად ზემოქმედებს სქესთა შორის ურთიერთობაზე. **ამ შემთხვევაში ლაპარაკია ერთი მხრივ სქესობრივ თვალთმაქცობაზე და, მეორე მხრივ, ქალთა მიმართ ზიზღის, ანუ მიზოგინიის შესახებ**. ამ ორივე ფსიქოსქესობრივ საკითხს ძალზე მჭიდრო კავშირი აქვს პროსტიტუციასთან, რომლის განვითარებას ისინი დიდად უწყობენ ხელს, თანაც თავის მხრივაც ძლიერდებიან მისივე ზეგავლენით.

თუკი სქესობრივი ცხოვრება ცხადდება რაღაც უწმინდურ ქმედებად, ქალი კი, როგორც სქესობრივი საწყისის განსახიერება, უფრო ნაკლებად ფასეულ და მდაბიურ არსებად მიიჩნევა, მაშინ არაფერია გასაკვირი იმაში, რომ პროსტიტუციაში იგივე ქალი მხოლოდ ავხორცი წადილის, დასახული მიზნის (ანუ სექსუალური ლტოლვის) აღსრულების უბრალოდ მარტივ საშუალებად განიხილება. ასეთ აზრს ხშირად მაღალგანვითარებული გონიერი მამაკაცებიც კი იზიარებენ და სწორედ ამით საზრდოობს ქალისადმი ზიზღის გრძნობა.

ელინიზებულ რომაულ სახელმწიფოში, ასეთი შეხედულება, ცხადია, ზეგავლენას ახდენდა საზოგადოებრივ მორალზე, თუმცა კი **ჭეშმარიტი რომაელისთვის ქალისადმი ასეთი უპატივცემო დამოკიდებულება იმთავითვე უცხო იყო. მაგრამ, ბერძნული ლიტერატურისა და ფილოსოფიის მძლავრი ზეგავლენით, მიზოგინია, ყოველივეს შთანთქმელი შხამის დარად, თანდათანობით სანსლავდა საზოგადოებრივ ცხოვრებას და, ბოლოს და ბოლოს, მოწამლა კიდეც იმხანად ახალი ქრისტიანული სწავლება.** ვისაც სურვილიც აქვს სწორად შეაფასოს იმდროინდელი სქესობრივი ურთიერთობები, მან, არსებითად, უნდა „ამოაყიროს“ ფრიდრიხ ნიცშეს ცნობილი გამოთქმა, რომ ქრისტიანობამ ეროტს შხამი ასვა. სინამდვილეში პირიქით მოხდა: **თავისდა დასაღუპად, ქრისტიანობამ შეისისხლხორცა სიყვარულისა და ქალზე ბერძნული შეხედულება და ის დღესდღეობითაც კი ვერ მოუშორებია!** ჩვენი სქესობრივი ეთიკა დღესდღეობითაც სნეულია ელინიზმის ამ მხარით. ამდენად, კულტურული ადამიანებისთვის **სქესობრივი ელემენტის ბიოლოგიური და ეთიკური ფასეულობის აღმოჩენა, როგორც ინდივიდუალური და სოციალური ცხოვრების საწყისისა, სქესობრივ ცხოვრებაზე ახალი თავისუფალი, სერიოზული შეხედულების ჩამოსაყალიბებლად, სქესობრივი ეთიკის სამერმისოდ გადასაწყვეტ ამოცანას წარმოადგენს.**



**საროსკიპოები მეფის რუსეთში** ერთობ სერიოზული დაწესებულებები იყო. იმ ხანებში ასეთი საქმიანობის თაობაზე მაუწყებელი ნებისმიერი სახის აბრების გამოკვრა აკრძალული იყო, ხოლო მანძილი ბორდელიდან უახლოეს ეკლესიამდე, სკოლამდე თუ სასწავლებლამდე, „საკმაოდ დიდი“ (არანაკლებ 300 მეტრისა) უნდა ყოფილიყო. საროსკიპოს შენობაში ნებადართული იყო პიანინოს ქონა და მასზე დაკვრა.

პროსტიტუციაზე ანტიკური შეხედულება, როგორც უკვე არაერთგზის ვთქვით, მჭიდროდაა დაკავშირებული ქალის თავისუფალ მდომარეობასა და მიზოგინიასთან. უამრავი მოაზროვნე, ფილოსოფოსი და თეოლოგი, სპეტაკი და კეთილშობილური აზრების მატარებელი, მათ შორის, ვთქვათ, კატონი და ციცერონი, რომ იტყვიან, „კბილებით იცავდნენ“ პროსტიტუციის არსებობის აუცილებლობას. მეტიც: **სტოიკოსებიც კი ამართლებდნენ პროსტიტუციასა და სუტენიორობას! მეძავობას მფარველობდნენ ოლიგარქები, პოლიტიკური მოღვაწეები და აბსოლუტური მონარქებიც კი, რადგან სწამდათ, რომ ის მამაკაცური ვნებების ერთგვარ სარქველს წარმოადგენს და ამ გზით შესაძლებელია მამაკაცთა მასის პოლიტიკური მოღვაწეობისგან მოცილება — ეს ის რეცეპტია, რომელსაც ზოგიერთ სახელმწიფოში დღესდღეობითაც წარმატებით იყენებენ.**

კეთილშობილი და განათლებული ადამიანები კი, ვინც ანტიკურ ხანაში პროსტიტუციის წინააღმდეგი იყო, ძალიან ცოტანი იყვნენ. მათ შორის განსაკუთრებით გამოსაყოფია **დიო ქრიზოსთომასი, პირველი ჭეშმარიტი აბოლიციონისტი და ქრისტიანი რიტორი: „საჭიროა სრულიად მკაფიოდ და დაბეჯითებით განვაცხადოთ, რომ არც მდიდარ კაცს, არცა ღარიბს არა აქვს უფლება ხელი მიჰყოს ამ პროფესიას (ე. ი. პროსტიტუციას — ო. ტ.), არავითარ შემთხვევაში! ამ პროფესიის ნების დართვა ანდა კანონმდებლობით რეგულირება, ყველა კანონმდებელსა თუ ხელმწიფეს აკრძალული უნდა ჰქონდეს!“**

პროსტიტუციის სახელმწიფო დონეზე რეგულირება არა მარტო არ იცავს პატიოსან ქალებს მამაკაცთა შევიწროებისგან, პირიქით — თანდათანობით აკნინებს და აძლიერებს ამ ქალბატონების ზნეობრივ დონესაც, რადგან დაუფარავი მეძავობა არათუ ხელს უშლის ფარული პროსტიტუციის გავრცელებას, პირიქით, ყველანაირად ეხმარება მის განვითარებასა და საზოგადოების რჩეულ ფენებში შეღწევასა და დამკვიდრებას.

მოამზადა
**ოთარ ტურაბელიძე**

(გაგრძელება იქნება)

მუნდიალი – 2023



# უკვე – უჩვენოდ

**მაშ ასე, საქართველოს ეროვნული საკალათბურთო ნაკრებისთვის ისტორიული პირველი მსოფლიო ჩემპიონატი მეორე ჯგუფურ ეტაპზე გასვლით, საბოლოოდ საბერძნეთთან ერთად მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე ადგილების გაყოფითა და, რაც მთავარია, პარიზის ოლიმპიადის საგზურისათვის საბრძოლველად საკვალიფიკაციო ტურნირში თამაშის უფლების მოპოვებით დასრულდა.**

დებიუტი წარმატებულად კი ფასდება, მაგრამ უკმარისობის გრძნობა, როგორც ყოველთვის, მაინც გვრჩება – მართალია, სრულფასოვანი სათადარიგოთა სკამით შეზღუდულნი ვიყავით, მაგრამ არსებული მწირი რესურსითაც, როგორც წინა წერილებში ვწერდით, გულშემატკივართა კიდევ უფრო გახარება მაინც შეგვეძლო.

ასეა თუ ისე, **ილიას ზუროსი** აზიური ფორუმის შემდეგ მადლიერების გრძნობითა და ცრემლიანი თვალებით დაგვემშვიდობა – მე ამიერიდან უფრო ქართველი ვარ, ვიდრე ბერძენიო, თავად მუნდიალი კი უკვე მთლიანად ფილიპინების დედაქალაქ მანილაში პლეი-ოფებით გრძელდება და მრავალ საინტერესოს გვპირდება.

უპირველესად, გაირკვა, რომ ესპანეთის გავარდნის შემდეგ პლანეტას ახალი გვირგვინოსანი ეყოლება. სენსაციურად, ძალიან მალე დაბრუნდა სამშობლოში საფრანგეთიც, ხოლო ევროპული კალათბურთის აღნიშნული გრანდების ასეთი სავალალო ხვედრი პორზინგისისა და დაინის ბერტანსის გარეშე გმირულად მებრძოლმა ლატვიამ განაპირობა.

რაც შეეხება მეოთხედფინალებს, მეტოქენი ასე დაწყვილდნენ: ლიეტუვა – სერბეთი (68:87), იტალია – აშშ, გერმანია – ლატვია და კანადა – სლოვენია. დავძენთ, რომ ჯერჯერობით დაუმარცხებელი მხოლოდ გერმანიაა.

**ასე რომ, ნაღდი სანახაობა აწი იწყება!**

ევრო – 2024




# მეტოქის განაცხადი

**უკვე გაგაცანით ვილი სანიოლის ის 23 რჩეული, ვინც საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების სპორტულ ღირსებას დაიცავს 8 სექტემბერს თბილისსა და 12 თებერვალს ოსლოში, შესაბამისად, ესპანეთისა და ნორვეგიის გუნდებთან გასამართავ ევრო – 2024-ის საკვალიფიკაციო ტურნირის მატჩებში.**

ამჯერად წარმოგიდგენთ პირენეელთა თავკაცის **დე ლა ფუენტეს** მიერ გამოძახებულთა განაცხადს, სადაც მრავალ ახალ გვარს შეხვდებით:

**მეკარეები** – სიმონი (ბილბაო), არისაბალაგა (რეალი), რაია (არსენალი);

**მცველები** – კარვახალი (რეალი), ასპილიკუეტა (ატლეტიკო), ლე ნორმანი (სოსიედადი), ლაპორტი (ალ ნასრი), გაია (ვალენსია), ტორესი (ასტონ ვილა), გარსია (ოსასუნა), ბალდე (ბარსელონა);

**ნახევარმცველები** – როდრიგო (სიტი), მერინო (სოსიედადი), გავი (ბარსელონა), ბაენა (ვილიარეალი), სუბიმენდი (სოსიედადი), ფაბიან რუისი (პარი სენ-ჟერმენი);

**თავდამსხმელები** – მორატა (ატლეტიკო), ოლმო (ლაიფციგი), ნიკო უილიამსი (ბილბაო), ხოსელუ (რეალი), აბელ რუისი (ბრაგა), ასენსიო (პარი სენ-ჟერმენი), იმალა (ბარსელონა).

ბრძენთა თამაში



# ქართული მაკედონია

**წარმატებით იასპარეზეს საქართველოს ქალთა ნაკრების წევრებმა: ბელა ხოტენაშვილმა და ლელა ჯავახიშვილმა ჩრდილოეთ მაკედონიის გუნდურ ჩემპიონატზე ქალთა შორის.**

**ქართველი მოჭადრაკეებით დაკომპლექტებული სკოპიეს „ალკალოიდი“ დამაჯერებლად გავიდა აპირველ ადგილზე. ბელა ხოტენაშვილი პირველ დაფაზე ასპარეზობდა და 7-იდან 6,5 ქულით იპირველა. ქალთა მეორე დაფაზე მოასპარეზე ლელა ჯავახიშვილმა 7-იდან 5,5 ქულა დააგროვა და მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა. ჩრდილოეთ მაკედონიის ჩემპიონატზე 8 გუნდი ასპარეზობდა და წრიული სისტემით 7 ტურად გაიმართა. თითოეული გუნდი 4 ძირითადი და 2 სათადარიგო მონაწილისგან შედგებოდა.**

თამაშის ისტორია

# „აბა ერთი, დუ-შაში!“

**ევროპის ჯუჯა სახელმწიფოებს შორის ყველაზე ცნობილი, უდავოდ, მონტე-კარლოა, რომელმაც სახელი ავტორბოლაში „ფორმულა – 1“-ის ერთ-ერთი ეტაპის და დიდი საცირკო ფესტივალის მოწყობის გარდა, პირველხარისხოვანი სამორინეების დიდი ოდენობითაც გაითქვა. ამასთან, ნაკლებადაა ცნობილი, რომ აგერ უკვე თითქმის ნახევარი საუკუნეა იქ ნარდში მსოფლიო პირველობებიც ტარდება.**

ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე კვირით ადრე, მსოფლიოს საუკეთესო მონარდეები თავს იყრიან სათავადოს ცნობილ კურორტებზე – კანში, მენტონში, სან-რემოში. საქმე ისაა, რომ პროფესიონალთა გარდა იქ მრავლად ჩადიან ნარდის მოყვარული მდიდარი მოთამაშეებიც, რომლებიც თითო ხელზე დიდ ფსონებს გამოდიან.

ჩემპიონატში მონაწილეობა ნებისმიერი პროფესიონალისთვის არა მარტო პრესტიჟის საკითხია, არამედ სოლიდური შემოსავლის წყაროც: გამარჯვებულის ჰონორარი რამდენიმე ასეულ ათას დოლარს შეადგენს. გარდა ამისა, ჩემპიონატის მნიშვნელოვანი მდგენელია ჩინებული კულტურული პროგრამაც. ასევე ტარდება ტურნირები ჩოგბურთსა და გოლფში,. „არაოფიციალურ“ სანარდო ბატალიებში კი მოთამაშეთა ფსონები, რომ იტყვიან, „ცას სწვდება“. თამაში დღე-ღამის ნებისმიერ დროსაა დასაშვები, ერთადერთი საყოველთაოდ აღიარებული ტაიმაუტია 19-დან 22 საათამდე, როცა მოთამაშეები მდიდრულ რესტორნებს სტუმრობენ.



ჩემპიონატის დროს, ყველასათვის მოქმედებს მკაცრად დადგენილი დრეს-კოდი: – არავითარი მაისურები და შორტები – დასაშვებია მხოლოდ საღამოს კაბები და სმოკინგები, უკიდურეს შემთხვევაში – მუქი კოსტუმები. გარდა ამისა, ჩემპიონატის ორგანიზატორები ფხიზლად ადევნებენ თვალყურს მონაწილეთა ზნეობრივ სახესაც – თაღლითებსა და შულერებს აქ დაუნდობელი ბრძოლა აქვთ გამოცხადებული.

ნარდი ჩვენშიც დიდადაა პოპულარული, ამიტომაც მისი თამაში ბევრმა იცის, თუმცა კი უცხო თვალისთვის კამათელზე მოსული ქულებით ლოგიკურ მოქმედებებზე ლაპარაკი, ცოტა არ იყოს, რთული გასაგებია. მაგრამ, ასეთ დამკვირვებელს არ უნდა დაავიწყდეს, რომ ეს თამაში, რომელიც თანამედროვე ერაყის ტერიტორიაზე, სამხრეთ მესოპოტამიაში წარმოიშვა და შუმერული კულტურის ნაწილს წარმოადგენს, ყველაფრის მიუხედავად კვლავინდებურად დიდი მოწონებით სარგებლობს. **ესაა მათემატიკური ალბათობის, ფსიქოლოგიის, ტაქტიკისა და სტრატეგიის, ცივი გონებით გათვლისა და ბრმა შემთხვევითობის ნაზავი, რომელიც დღემდე რჩება მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ აზარტულ თამაშად. ნარდი – ესაა შეტევაც, თავდაცვაც და სწრაფი რეაქციაც – დაძაბულობა ბოლო გაგორებამდე ნარჩუნდება. ეს თამაში შეიძლება იყოს მხიარულიც, სახალისოც, დიდი შემოსავლის მომტანიც და კატასტროფულად დამაქცევარიც!**

განვლილი საუკუნეების განმავლობაში, ნარდის თამაშის ბევრი ნაირსახეობა წარმოიშვა: მაგალითად, მეზღვაურებში მეტად პოპულარულია ვარიანტი „ერთი-ორი („ocey-ducey“), ჩინურ ვარიანტს ეწოდება „შაო ლიუ“, იაპონურს – „სუნოროკუ“, კორეულს – „სანგ-რიუოკი“, ტაილანდურს – „საკა“, მალაიზიურს – „მაინ ტაბალი“.

ძველ საბერძნეთში, ნარდის თამაშის მოყვარულებს შორის იყვნენ პლატონი, სოფოკლე, ჰომეროსი, ჰალამიდე. რომის იმპერატორი კლავდიუსი ნარდით იმდენად იყო გატაცებული, რომ მას საგანგებო სახელმძღვანელოც მიუძღვნა, შუასაუკუნოვან ევროპაში კი ნარდის, ანუ როგორც მას იმხანად უწოდებდნენ „თეიბლის“ ოცდახუთი ვარიანტი იყო ცნობილი.

მე-16 საუკუნის შუა ხანებს განეკუთვნება ნარდში მოგების სხვადასხვა სახეობის – „გემინისა“-ისა და „ბექგემონის“-ის ხსენება, რომელიც შემდგომ დიდად გავრცელდა ინგლისში. ჩვეულებრივი ნარდისგან „ბექგემონი“ იმით განსხვავდება, რომ ერთი რომ წყვილის გაგორებისას სვლების ოდენობა ორმაგდებოდა, მეორეც ის, რომ მოგებაც ორმაგდებოდა ან სამმაგდებოდა.

მე-18 საუკუნეში ნარდის პოპულარობა მთელს ევროპაში გავრცელდა: იტალიელები თამაშობდნენ „ტავოლე რეალეს“, ესპანელები – „ტაბლეს რეალესს“, ფრანგები – „თრიკ-თრაქს“, ჩვენში კი ნარდმა თავისი პირვანდელი სახელწოდება შეინარჩუნა.

ნარდის თანამედროვე ვარიანტი ვიღაც უსახელო გენიოსს უნდა უმადლოდეს, რომელმაც 1925 წელს რევოლუციური სიახლე შემოიღო: **ვიდრე თავის ჯერზე კამათელს გააგორებდეს, თითოეულ მოთამაშეს ფსონის გაორმაგების უფლება აქვს, მისმა მოწინააღმდეგემ ეს გაზრდა შეიძლება მიიღოს ან უარჰყოს. ამ უკანასკნელს ავტომატურად მარცხი მოჰყვება, ოღონდ თავდაპირველად დათქმული ფსონით.**

ამ მარტივმა სიახლემ, ნარდი უნიკალურ თამაშად აქცია. იმის გამო, რომ ფსონების გადიდება შეიძლება რამდენჯერმე მოხდეს, მათი გადიდების ოდენობის დასადგენად საჭირო გახდა დამატებითი კამათლის შემოღება, რომელზეც დატანილია ციფრები 2, 4, 8, 16, 32 და 64. ამ კამათლის შემოღებით, შეუდარებლად გაიზარდა თამაშის დაძაბულობა, ვინაიდან ხელის მიმდინარეობისას უპირატესობა ხან ერთ მხარესაა, ხან მეორეს, ხოლო უკეთეს მდგომარეობაში მყოფი მოთამაშე, ცხადია, ფსონის მეტად გაზრდას ცდილობს, ბოლოს კი ფსონმა შესაძლოა ძალიან სოლიდურ თანხას მიაღწიოს.



მოამზადა
**ოთარ ტურაბელიძე**



## გინდ დაიჯერეთ, გინდ არა!

## გიორგი გაბუნია: „ნაცების ტელევიზია აღარ ვართ“!..

ტელეკომპანია „მთავარი არხის“ გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა **გიორგი გაბუნიამ** არხთან დაკავშირებულ ცვლილებებზე ისაუბრა და თქვა, რომ ცვლილებები „არა მარტო კოსმეტიკური“, არამედ ძირეულია“

**„სამწუხაროდ, ნაცების ტელევიზიის იარლიყი ტყუილად არ გვქონდა. ახლა რაც შემიძლია ძალიან დიდი სიამოვნებით და ბედნიერებით ვთქვა, ნაცების ტელევიზია აღარ ვართ ნამდვილად. ამას კიდევ წლები დასჭირდება, რომ ხალხმა დაიჯეროს ეს და დააფიქსიროს, უნდა უყურო ეთერს სისტემატურად, ნაცების ტელევიზია აღარ ვართ**“.

გაბუნიამ „მთავარი არხის“ გადაცემაში „შენი შუადღე“ განაცხადა, რომ ტელევიზიაში ტაშით შეხვდნენ ინფორმაციას ცვლილების შესახებ და რომ ვალდებული აღარ არიან ვინმეს მითითებები გაითვალისწინონ. მისი სიტყვებით თანამშრომლები გრძნობენ ყველაზე მეტად იმ სიმძიმეს „როცა პოლიტიკური გავლენის ქვეშ ხარ“.

გაბუნიამ ყურადღება გაამახვილა პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ შიგნით არსებულ დაპირისპირებაზეც პარტიის მოქმედ და ყოფილ თავმჯდომარეებს, ლევან ხაბეიშვილსა და ნიკა მელიას შორის და თქვა, რომ ორივე მათგანს დაკარგული აქვს პოლიტიკური მხარდაჭერა.

**„მე გავაშუქებ, რასაც ისინი გააკეთებენ ან ვერ გააკეთებენ. უნდა მიხვდნენ, თავიანთი ადგილი სად არის“,** – თქვა გაბუნიამ.



მეუღლე ომარ კაჭარავა, შვილები გიორგი, დავითი, ლევანი ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

## ნანა ჟორდანიას

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 6 სექტემბერს, 17 საათზე.

მისამართი: თბილისი ყიფშიძის 2 ბ, I სართული, ბინა 7.

გამოსვენება 7 სექტემბერს 14 საათზე, საირმის გორა, გრიგოლ ხანძთელის სახელობის ეკლესიიდან.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მრჩევლის, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრის ბატონ ომარ კაჭარავას მეუღლის ქალბატონ

## ნანა ჟორდანიას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

# „მთავარი“ კოლექტიურ სანაცეთს მოემსახურება!



**ჩვენ წინასწარ გვქონდა ინფორმაცია, რომ კეზერაშვილი და ხაზარაძე „მთავარ არხთან“ დაკავშირებით ერთმანეთში დალაგდნენ და ეს დაადასტურა გიორგი გაბუნიამ,** – ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, **ირაკლი კობახიძემ** პარლამენტში ჟურნალისტებს განუცხადა. ჟურნალისტებმა კობახიძეს კითხვა დაუსვეს „მთავარი არხის“ გენერალური დირექტორის, გიორგი გაბუნიას იმ განცხადებაზე, რომ ტელეკომპანია „ნაციონალური მოძრაობის“ ტელევიზია აღარ არის.

როგორც კობახიძემ აღნიშნა, „მთავარი არხი“ ახლა მოემსახურება კოლექტიურ „ნაცმოძრაობას“ და არა მხოლოდ პარტია „ნაცმოძრაობას“.

**„ერთგვარი თამაშია. წინასწარ გვქონდა ჩვენ ინფორმაცია, რომ კეზერაშვილი და ხაზარაძე „მთავარ არხთან“ დაკავშირებით ერთმანეთში დალაგდნენ. ანუ „მთავარი არხი“ მოემსახურება ახლა კოლექტიურ „ნაცმოძრაობას“ და არა მხოლოდ პარტია „ნაცმოძრაობას“. ეს იქნება კეზერაშვილის ხაზიც და ხაზარაძის ხაზიც.**

**ეს ინფორმაცია ჩვენ გვქონდა წინასწარ და ამის დადასტურება იყო, საბოლოო ჯამში, გიორგი გაბუნიას გამოსვლა. ერთმანეთში დალაგდნენ. ნახავთ, ახლა როგორ გაგრძელდება სარედაქციო პოლიტიკა, დამატებით გამოიკვეთება „ლელოს“ ხაზი „მთავარი არხის“ სარედაქციო პოლიტიკაში. სხვათა შორის, ამაში ფინანსებიც არის ჩართული. ჩვენი ინფორმაციით, კეზერაშვილთან ერთად, ხაზარაძეც დააფინანსებს არხს“...**

## შვილი ქეთევან კოხრეიძე, და ლალი, სიძე თენგიზ ქავთარაძე, შვილიშვილები გიორგი, რეზიკო კოხრეიძეები, ქეთი ქავთარაძე, რძლები ქეთევან გიორგაძე, ნათია ლილუაშვილი, გვანცა ქვრივიშვილი, შვილთაშვილები ელენე, ქეთა, მართა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

## მარიამ პავლეს ასული გელაშვილი-კოხრეიძე

## ტრაგედია იტალიის მთებში

**იტალიაში ტრენტინო-ალტო-ადიჯეს მთიან რეგიონში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად, ორი მთამსვლელი დაიღუპა, ორი კი დაშავდა.**

მედიის ცნობით, დაღუპულთაგან ერთი იტალიელია, მეორე კი გერმანელი. ვარაუდობენ, რომ ერთ-ერთი მთამსვლელი გადაიჩეხა და მას სხვებიც მიჰყვნენ. მომხდარის შესახებ სხვა დეტალები უცნობია.

## მკვლელი ქარიშხლი ესპანეთში

**ესპანეთში ძლიერი ქარიშხლის შედეგად ხუთი ადამიანი დაიღუპა, არიან დაკარგულებიც. ადგილობრივი ხელისუფლების განცხადებით, მაშველებმა სამი მამაკაცის ცხედარი იპოვეს ტოლედოს პროვინციაში, მადრიდის სამხრეთით.**

ამასთან, ეძებენ მამაკაცს, რომელიც მეუღლესთან და ორ შვილთან ერთად მადრიდის რეგიონში მოგზაურობდა. მათი მანქანა მდინარე ალბერშეს წყალმა წაიღო, თუმცა დაკარგული მამაკაცის ოჯახის წევრებმა ავტომობილიდან გადმოსვლა შეძლეს. დაკარგულად ითვლება კიდევ ორი ადამიანი.

გასულ კვირას ესპანეთში ძლიერი ქარი, წვიმა და სეტყვა იყო. კატალონიის მუნიციპალიტეტში წყალდიდობის საფრთხის გამო 10 ათასამდე მცხოვრებს რამდენიმე საათით სახლების დატოვება აეკრძალა.

## ტაიფუნი, რომელიც პირდაპირ ტაივანს „დაეჯახა“

**ტაივანის აღმოსავლეთ სანაპიროს ტაიფუნმა „ჰაიკუიმ“ გადაუარა, რის შედეგადაც დაშავდა 40-ზე მეტი ადამიანი. კუნძულზე ათასობით ადამიანის ევაკუაცია განხორციელდა. სტიქიის დროს ქარი 200 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობდა და იყო ძლიერი წვიმა.**

მიუხედავად იმისა, რომ წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში ტაიფუნების სეზონია, ეს ბოლო ოთხი წლის განმავლობაში პირველი ტაიფუნია, რომელიც პირდაპირ ტაივანს დაატყდა თავს. სტიქიამ მოგლიჯა ხეები და დააზიანა მანქანები. ოფიციალური პირების ინფორმაციით, ადამიანებმა დაზიანებები ძირითადად, ნამსხვრევების ჩამოვარდნის შედეგად მიიღეს. კუნძულზე 160 000 აბონენტი ელექტრომომარაგების გარეშე იყო დარჩენილი.



## აკრძალეთ ერთჯერადი ელექტრონული სიგარეტი!

**საფრანგეთის მთავრობას სურს დაინერგოს მოწევის საწინააღმდეგო ეროვნული პროგრამა საზოგადოების მიერ თამბაქოს მასობრივი მოხმარების ფონზე.**

პრემიერ-მინისტრმა ელიზაბეტ ბორნმა აღნიშნა, რომ პირველი გეგმა არის ერთჯერადი ელექტრონული სიგარეტის აკრძალვა. შესაბამისი გადაწყვეტილება ქვეყანაში შესაძლოა მალე ამოქმედდეს.

**„შეიძლება ითქვას, რომ ეს არ არის ნიკოტინი, მაგრამ ეს არის რეფლექსი და ჟესტი, რომელსაც ახალგაზრდები ეჩვევიან. ასე იძენენ მავნე ჩვევას და იწყებენ მოწევას“,** – აღნიშნავს ბორნი.

## „კორგი“ – დედოფლის საყვარელი ძაღლის ჯიში

**ლონდონის ცენტრში, სამეფო კარის 20-მდე გულშემატკივარი თავიანთ „კორგებთან“ ერთად შეიკრიბა, რათა თავიანთი შინაური ცხოველები, დედოფალ ელიზაბეტ II-ის გარდაცვალების წლისთავთან დაკავშირებით, სასახლის გარეთ გაესეირნებინათ.**



ცნობისთვის, „კორგი“ - ძაღლის ეს ჯიში, გარდაცვლილი დედოფლის საყვარელი ძაღლი და მისი მუდმივი კომპანიონი იყო მას შემდეგ, რაც ის ელიზაბეტს 18 წლის ასაკში აჩუქეს. დედოფალს მთელი ცხოვრების განმავლობაში, ამ ჯიშის, დაახლოებით 30 ძაღლი ჰყავდა.

ლონდონში აპირებენ, რომ ელიზაბეტის ხსოვნისადმი პატივსაცემად, ეს ღონისძიება – „კორგების“ აღლუმი, ყოველწლიურად ჩაატარონ. 8 სექტემბერს შოტლანდიაში, ბალმორალის ციხესიმაგრეში, 96 წლის დედოფლის გარდაცვალების წლისთავთან დაკავშირებული ღონისძიება ჩატარდება.

# ქართული ვაზი ანტიკურ პომპეიში

**2 სექტემბერს, პომპეის არქეოლოგიურ პარკში გაიმართა მასშტაბური ღონისძიება სახელწოდებით „ანტიკური პომპეის ყოფა-ცხოვრებისა და ღვინის შესახებ“, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია და ქართული და იტალიური ღვინოების გამოფენა-დეგუსტაცია.**

იტალიის საელჩოს ინფორმაციით, პომპეის არქეოლოგიურ პარკში ქართული ვაზის ჯიშებისგან ექსპერიმენტული ვენახის გაშენების მიზნით, ღონისძიების ფარგლებში, პარკის ადმინისტრაციას შესაბამისი ნერგები გადაეცა.



ღონისძიების გახსნაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იტალიაში, კონსტანტინე სურგულაძე. ელჩმა საქართველოსა და იტალიას შორის ისტორიულად არსებულ მჭიდრო კავშირებზე და ხელოვნებისა და კულტურის სფეროში ცოდნისა და გამოცდილებების გაზიარების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

კონფერენციაზე მოხსენებით წარსდგა საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი, დავით ლორთქიფანიძე. სტუმრებს სიტყვით ასევე მიმართა საქართველოს ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა დავით მაღრაძემ.

ღონისძიებას დიპლომატიური კორპუსის, იტალიის სახელმწიფო ინსტიტუციების, სამეცნიერო და ბიზნეს წრეების, მედიის წარმომადგენლები, დარგის ექსპერტები და სომელიეები ესწრებოდნენ.

# „ალი და ნინო“ და „ღვინის დაყენების ტრადიცია“ – ყველაზე პოპულარული ვიდეორგოლები



**უმსხვილეს ამერიკულ სამოგზაურო პლატფორმა EarthPix-ზე გამოქვეყნებულ, აჭარაში გადაღებულ ვიდეოებს დიდი გამოხმაურება მოჰყვა.** გვერდის სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებულმა ‚ალი და ნინოსა და ღვინის დაყენების ტრადიციის ვიდეოებმა 50 მილიონზე მეტი გამომწერის ყურადღება მიიპყრო. ინფორმაციას აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი ავრცელებს.

**„ეს არის ამ პერიოდში ყველაზე ნახვადი და ვირუსული ვიდეო საქართველოდან, რომლის ნახვებიც ყოველდღიურად 2 მილიონით იზრდება“,** – ასე უწოდა EarthPix-მა ღვინის დაყენების ტრადიციაზე გადაღებულ ვიდეოს, რომელსაც გვერდზე ამ ეტაპზე 36 მილიონზე მეტი ნახვა აქვს. EarthPix-ი, რომლის კონტენტსაც თვის განმავლობაში მილიარდზე მეტი ნახვა აქვს, გამომწერებს აჭარაში მოგზაურობის დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს, ბუნების, კულტურის, მთისა და ზღვის კონტრასტით მიღებულ ემოციებს ორი თვის განმავლობაში გაუზიარებს. გვერდის დამფუძნებლებმა რეგიონში აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის მოწვევით აგვისტოში იმოგზაურეს.

# „სიცოცხლის ფესტივალი“ – ვერაგ სენთან საბრძოლველად

**„სიცოცხლის ფესტივალს“ ზუგდიდი შეუერთდა. საქველმოქმედო ღონისძიება, დადიანების სასახლის ეზოში მოეწყო, სადაც მაყურებლის წინაშე აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „აფხაზეთი“ წარსდგა.**

ბავშვთა კიბოსთან ბრძოლის ცნობიერების ამაღლების საერთაშორისო თვესთან დაკავშირებით, ყოველწლიური „სიცოცხლის ფესტივალი“, „ბერი ანდრიას სახელობის საქველმოქმედო ფონდის“ მიერაა ორგანიზებული. ტრადიციული „ოქროს სექტემბრის“ ფესტივალი წელს საქართველოს ოთხ რეგიონს – სამეგრელოს, კახეთს, აჭარას, იმერეთსა და თბილისს მოიცავს. ფესტივალი 29 სექტემბერს, თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში, გალაკონცერტით დაიხურება.



# მსოფლიო რეკორდები... „თიანეთობაზე“

**საქართველოს რეკორდების ფედერაციის ორგანიზებითა და ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით, თიანეთში, სახალხო დღესასწაულ „თიანეთობის“ ფარგლებში, მსოფლიოს ორი რეკორდი დამყარდა.**



კარიერაში მეათედ დაამყარა მსოფლიოს რეკორდი გიორგი მათურელმა, რომელმაც 55-კილოგრამიანი ზურგჩანთით ცალი ხელით, ორ თითზე 30 წამში 39 აზიდვა დააფიქსირა. ასევე, მსოფლიოს რეკორდი მეორედ დაამყარა ნოდარ ცალუღელაშვილმა, მან ერთი წუთის განმავლობაში, 65-კილოგრამიანი ტვირთით, 64 აზიდვა ცალი ხელით შეასრულა.

# „ტბათანობა“ ახმეტაში

**ტბათანა, ადგილი ახმეტაში, რომელიც ტურისტულ რუკაზე ღირსეულ ადგილს დაიკავებს და საერთაშორისო თუ ადგილობრივი ვიზიტორების ცენტრად იქცევა.**

ტბათანას მალე დაცული ტერიტორიის სტატუსი მიენიჭება. მანამდე კი უძველესი სოფლის პოპულარიზაციის მიზნით, ფესტივალი „ტბათანობა“ ყოველწლიურად გაიმართება.

ღონისძიების ფარგლებში სტუმრებს საშუალება ჰქონდათ დაეგემოვნებინათ ტრადიციული სამზარეულო და გასცნობოდნენ სოფლის ისტორიას. გამოვლინდნენ საპატიო მოქალაქეებიც.



# ჰოლივუდელთა გაფიცვამ შტატი მილიარდობით დოლარით აზარალა

**აშშ-ში მიმდინარე სცენარისტებისა და მსახიობების გაფიცვა კალიფორნიის შტატის ეკონომიკას უკვე 5 მილიარდი დოლარი დაუჯდა. სავარაუდოდ ზარალი უფრო გაიზრდება, რადგან ბოლო მოლაპარაკებები პროფკავშირებსა და კინოსტუდიებს შორის უშედეგო აღმოჩნდა.**

პროტესტის გამო სტუდიებმა ცნობილი სერიალების წარმოება და ფილმებზე მუშაობა შეაჩერეს, რაც ნეგატიურად აისახა კვებისა და ქიმწმენდის ობიექტების, მძღოლების და კინოინდუსტრიასთან დაკავშირებულ სხვა ობიექტების მუშაობაზე. ბოლო 15 წლის განმავლობაში ეს სცენარისტების გილდიის პირველი გაფიცვაა, რომელიც 2 მაისს დაიწყო. ივლისში მას ჰოლივუდის მსახიობებიც შეუერთდნენ. გაფიცვის მონაწილეები ხელფასების გაზრდასა და სტრიმინგ-სერვისების და ხელოვნური ინტელექტის განვითარების ფონზე კონტრაქტების გადახედვას ითხოვენ. გაფიცვა უკვე 124 დღეა გრძელდება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია გაბრიჭიძე
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,
ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 8 სექტემბერს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6279; ევრო - 2.8239;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3006;
100 რუბლი - 2.7146; თურქული ლირა - 0.0980;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5440;
1000 სომხური დრამი - 6.8044

**ამინდი 6 სექტემბრისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +17, | დღე +35 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +12, | დღე +35 |
| დასავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +19, | დღე +32 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +16, | დღე +31 |
| თბილისი: | ღამე | +21, | დღე +34 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge